GEORGIA'S EUROPEAN ORBIT

საქართველოს ევროპული ორბიტა

საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები

GEORGIA'S EUROPEAN ORBIT

საქართველოს ევროპული ორბიტა

2025

სარჩევი

01 შესავალი 2

02 ანგარიშის მეთოდოლოგია 3

03 დემოკრატიის გზაჯვარედინზე 3

04 როგორ მოამზადა ნიადაგი "ქართულმა ოცნებამ" ქვეყნის კურსის შესაცვლელად 4

05 საკანონმდებლო რეფორმები, როგორც არჩევნების კონტროლის ინსტრუმენტი 5

06 ინსტიტუციური მიტაცება და საარჩევნო ადმინისტრაციის ხელში ჩაგდება 6

07 მოქალაქეთა გამქრალი ხმები მართულ მედია ნარატივში 8

08 პროპაგანდა და მტრის ხატის შექმნა 8

09 როგორ შექმნა „ქართულმა ოცნებამ" ნიადაგი არჩევნების გასაყალბებლად 12

10 არჩევნების დღე 18

11 ხმების სადარაჯოზე: ნამდვილი VS ყალბი დამკვირვებლები 24

12 უარყოფილი მართლმსაჯულება: საარჩევნო დარღვევებისგამოძიებისა და გამოსწორების სისტემური ჩავარდნა 26

13 რას ამბობენ ციფრები? სტატისტიკური მონაცემებიარჩევნების შესახებ 29

14 საქართველო არალიბერალური სცენარის კვალდაკვალ:უკვე ნანახი სცენარი ევროპაში 32

15 რა ხდება არჩევნების მოპარვის შემდეგ? 35

16 წყაროები 36

საქართველოს 2024 წლის
საპარლამენტო არჩევნები
მოპარული არჩევანი

01
შესავალი

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები ხალხის ნებას არ ასახავდა. ეს იყო ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით დადგმული, ფრთხილად ორგანიზებული წარმოდგენა „ქართული ოცნების“ მიერ. დემოკრატიისთვის გარდამტეხი მომენტი მოტყუებისა და მანიპულაციის დემონსტრირებად იქცა. ამ არჩევნებში „ქართული ოცნება“ არა როგორც რიგითი მონაწილე, არამედ პროცესის სრული მონოპოლისტი, დამგეგმავი და, საბოლოოდ, მომპარავი გახდა.

ეს დოკუმენტი ასახავს, თუ როგორ გამოიყენა „ქართულმა ოცნებამ“ დემოკრატიული ინსტიტუტები საკუთარი საარჩევნო მიზნებისთვის. პარტიამ მიმართა სტრატეგიებს, რომელიც მოიცავდა სამართლებრივ მანიპულაციებს, ამომრჩეველთა დაშინებასა და შანტაჟს. „ქართულმა ოცნებამ“ ასევე გამოიყენა შიში, ნაციონალისტური რიტორიკა და ანტიდასავლური პროპაგანდა, რათა არჩევანი ეროვნულ გადარჩენასა და საგარეო კონტროლს შორის ეგზისტენციალურ ბრძოლად წარმოეჩინა.

მიდგომა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ აირჩია, ეხმიანება იმ სტრატეგიულ შაბლონებს, რომლებიც ბოლო წლებში რამდენიმე ევროპულ ქვეყანას აჩრდილივით თან სდევს. სახელმძღვანელო, რომლის ფესვები კრემლში იღებს სათავეს, მოიცავს ძალაუფლების კონსოლიდაციას, მედიის ინსტრუმენტალიზაციას საზოგადოებრივი აზრის კონტროლისთვის, კრიტიკული ხმების „უცხოეთის აგენტებად“ წარმოდგენას და პატრიოტული რიტორიკის გამოყენებას განსხვავებული პოზიციების ჩასახშობად. მიმდინარე პროცესები არ არის დემოკრატიული სისტემის შემთხვევით ხარვეზი, ისინი თანამედროვე ავტორიტარული რეჟიმების მიერ კარგად დამუშავებული და გამოცდილი სტრატეგიებია.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს ფართო გეოპოლიტიკური გავლენა ექნება. სასწორზე მხოლოდ ერთი ქვეყნის მომავალი არ დევს, არამედ დემოკრატიული მმართველობის საიმედოობა გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონში. საქართველოს გამოცდილება იქნება ან დემოკრატიული მდგრადობის დადასტურების, ან საარჩევნო ავტოკრატიის ლეგიტიმაციის ნიშანი. ეს შექმნის პრეცედენტს მეზობელი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ევროპულ მისწრაფებებსა და ავტორიტარულ გავლენებს შორის არიან მოქცეულნი.

ეს ანგარიში მოწოდებაა მოქმედებისკენ საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის, ევროკავშირში პოლიტიკის განმსაზღვრელებისთვის და დემოკრატიული საზოგადოების მხარდამჭერებისთვის მთელ მსოფლიოში. თუ გლობალურ საზოგადოებას მართლაც სურს დემოკრატიული იდეალების დაცვა, მაშინ საქართველოს დემოკრატიის მიტაცებაზე თვალის არდახუჭვა არჩევანი კი არა, აუცილებლობა უნდა იყოს. ამ არჩევანს სარკისებრი ეფექტი ექნება მთელ რეგიონზე, რადგან ის ერთგვარ მიმართულებას მისცემს ბრძოლას დემოკრატიულ ღიაობასა და ავტორიტარულ რეპრესიებს შორის.

02
ანგარიშის მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამოყენებული მანიპულაციებისა და გაყალბების ყოვლისმომცველ ანალიზს. დოკუმენტი ეფუძნება ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების, მედიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებს, მათ შორის ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) და ვენეციის კომისიის დასკვნებს.

მეთოდოლოგია სხვადასხვა წყაროდან მიღებულ მიგნებებს ეფუძნება. კვლევა მოიცავს ინტერვიუებს სადამკვირვებლო მისიის „MyVote"-ის დამკვირვებლებთან, რომლებმაც არჩევნების დღის ატმოსფეროსა და საარჩევნო უბნებში და მათ გარეთ განვითარებული მოვლენების შესახებ მნიშვნელოვანი შეფასებები გააკეთეს. ანგარიში მიმოიხილავს წინასაარჩევნო პოლიტიკურ კონტექსტს, გამოყენებულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ მანიპულაციებს, მედიისა და დეზინფორმაციის როლს, არჩევნების დღის დარღვევების მექანიზმებს, მართლმსაჯულების ინსტიტუტების ჩავარდნას და იმ სტატისტიკურ მტკიცებულებებს, რომლებიც დარღვევების მასშტაბურობას ადასტურებს.

ანგარიში პარალელებს ავლებს საქართველოში გამოყენებულ მეთოდებსა და დემოკრატიული უკუსვლის მქონე სხვა ქვეყნების მაგალითებს შორის, რითაც საქართველოს სიტუაცია ფართო საერთაშორისო ტენდენციების კონტექსტშია განხილული. ანგარიში ასევე მიზნად ისახავს, გამოავლინოს ქართველი ხალხის დემოკრატიული არჩევანის ხელყოფის მექანიზმები და შეიმუშაოს რეკომენდაციები საარჩევნო პროცესის სამართლიანობისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარების აღსადგენად.

03
დემოკრატიის გზაჯვარედინზე

სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობის მქონე საქართველო, რთული გეოპოლიტიკური გარემოს მიუხედავად, წლების განმავლობაში

დემოკრატიის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ქვეყნის მუდმივი მისწრაფება ევროპასთან დაახლოებისა და ნატოში ინტეგრაციისკენ ნათლად ასახავს მის ერთგულებას დასავლური დემოკრატიული ღირებულებების მიმართ, რაც მას ბევრი მეზობელი ქვეყნებისგან გამოარჩევს.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მტკიცედ უჭერს მხარს ევროპულ ინტეგრაციას და დემოკრატიულ მმართველობას.[1] ქართველმა ხალხმა არაერთხელ დაამტკიცა ურყევი ერთგულება დემოკრატიის ისეთი ფუნდამენტური პრინციპებისადმი, როგორებიცაა შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ეს მყარი საზოგადოებრივი მანდატი საქართველოს ევროპული ფასეულობების ერთგულ პარტნიორად წარმოაჩენს. შესაბამისად, ევროპის მხარდაჭერას ამყარებს ქართველი ხალხის გულწრფელი და მტკიცე ნება, რომელსაც ისინი მრავალი წლის განმავლობაში გაბედულად იცავენ.

მიუხედავად მიღწეული წინსვლისა, საქართველოს დემოკრატიული მისწრაფებები სერიოზული შიდა გამოწვევების წინაშე დგას, რაც 2024 წლის არჩევნებმა კიდევ უფრო ნათელი გახადა. შიდა გამოწვევებს ამძიმებს რუსეთის ავტორიტარული გავლენა, რომლის მიზანია საქართველოს დასავლური კურსის შეფერხება და საკუთარი გავლენების გაძლიერება.

რატომ არის საქართველოს გზა დასავლეთისთვის მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ საქართველოს დემოკრატიული მომავალი ევროკავშირის გაფართოების სტრატეგიების სანდოობისა და ეფექტიანობის, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის საერთო წარმატების მნიშვნელოვანი საზომი გახდება. გეზი, რომელსაც ქვეყანა აიღებს, იქნება ეს დემოკრატიის განმტკიცება თუ ავტორიტარიზმში ჩაძირვა, იმოქმედებს რეგიონის სტაბილურობაზე. ეს მნიშვნელოვანი სიგნალი იქნება მეზობელი ქვეყნებისთვისაც იმის თაობაზე, ნიშნავს თუ არა ევროპულ ღირებულებებთან დაახლოება რეალურ მხარდაჭერასა და უსაფრთხოების გარანტიას.

სტაბილურ და დემოკრატიულ საქართველოს აქვს პოტენციალი, გააძლიეროს ევროპის სტრატეგიული ინტერესები, წაახალისოს პოზიტიური დემოკრატიული პროცესები მთელს რეგიონში და გააუმჯობესოს დემოკრატიული მმართველობის მედეგობა ავტორიტარიზმის წინააღმდეგ.

04

როგორ მოამზადა ნიადაგი "ქართულმა ოცნებამ" ქვეყნის კურსის შესაცვლელად

4.1.

დემოკრატიული სტანდარტების რღვევა, ავტორიტარიზმის ზრდა და პოპულისტური ნაციონალიზმი

საქართველოს გეოპოლიტიკური ლანდშაფტი მნიშვნელოვნად შეიცვალა 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ. ამ ომმა ანტიდასავლური და პრორუსული რიტორიკის კატალიზატორის როლი შეასრულა. თუ რუსეთის თავდასხმამდე „ქართული ოცნება" საჯარო განცხადებებში მეტ სიფრთხილეს იჩენდა, ომი გარდამტეხი აღმოჩნდა, რადგან პარტიამ, პროპაგანდისტული არხებით, ოფიციალური განცხადებებითა და პოლიტიკური გადაწყვეტილებებით, რუსული ნარატივების აქტიური გავრცელება დაიწყო. ამ პროცესმა წარმოაჩინა პარტიის იდეოლოგიური თანხვედრა კრემლის დისკურსთან.

დემოკრატიული ღირებულებების ეროზია, ავტორიტარიზმის მომძლავრება და პოპულისტური ნაციონალიზმის აღზევება გლობალურ დონეზე საგანგაშო ტენდენციად ყალიბდება. ამ კონტექსტში, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები გარდამტეხ მომენტად იქცა, რომელმაც ქვეყნის პოლიტიკური კურსის ცვლილება ცხადი გახადა. ეს ცვლილება შემთხვევითი არ ყოფილა. ის „ქართული ოცნების" მიერ წლების განმავლობაში დაგეგმილი სტრატეგიის ნაწილი იყო, რომლის საბოლოო მიზანი პოლიტიკური სივრცის სრული კონტროლია.

„ქართულმა ოცნებამ", ინსტიტუტების მანიპულირებით, სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებითა და ნარატივებზე კონტროლის დამყარებით, სისტემატურად შეარყია დემოკრატიული პლურალიზმის საფუძვლები. ამ ცვლილების მთავარი ბერკეტები იყო სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფა, საარჩევნო ინსტიტუტების პოლიტიზება და მედიისა თუ სამოქალაქო სექტორის მოქმედების არეალის შეზღუდვა. არჩევნების შემდეგ ეს ტენდენციები კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

„ქართული ოცნების" მიერ დეკლარირებული გეოპოლიტიკური ფსევდონეიტრალიტეტის პოლიტიკა, რომელიც რეგიონული არასტაბილურობით, უკრაინაში მიმდინარე ომითა და რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებით მართლდებოდა, სულ უფრო ხშირად ემსახურებოდა ავტორიტარული ძალაუფლების კონსოლიდაციას. ეს ნეიტრალიტეტი არ ასახავდა დაბალანსებულ ან პრაგმატულ საგარეო კურსს; იგი ფუნქციონირებდა, როგორც პოლიტიკური ტაქტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, საქართველოს ევროკავშირის სტანდარტებსა და ღირებულებებს აშორებდა, მეორე მხრივ კი, აძლიერებდა კონტროლის შიდა ბერკეტებს.

არჩევნების დასრულებიდან მალევე, ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების 2028 წლამდე შეჩერებამ ნათლად აჩვენა, რამდენად თვალთმაქცური იყო „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო დაპირებები ევროინტეგრაციის კურსის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

ვექტორის ამ ცვლილებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი „ქართული ოცნების" მიერ პოპულისტური ნაციონალიზმის გამოყენებამ, რომელიც მიზანმიმართულად ამკვიდრებდა ნარატივებს შიდა და გარე მტრების შესახებ. იგი დასავლელ მოკავშირეებს „გლობალური ომის პარტიად" წარმოაჩენდა, 3 რომელიც, თითქოსდა, საქართველოში დესტაბილიზაციას ესწრაფვოდა. ამასთანავე, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს „უცხო ქვეყნის აგენტებად" და მოღალატეებად ნათლავდა.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიუხედავად, მკაფიოდ ანტიდასავლური რიტორიკა ე.წ. „ტრადიციული ღირებულებების" დაცვას ეფუძნებოდა, რაც ხშირად ლგბტქ+ თემისადმი მტრული განცხადებებითა და საკანონმდებლო ზომებით ვლინდებოდა. ამ სტრატეგიის მიზანი იყო საზოგადოების პოლარიზება, „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის მენტალიტეტის" შექმნა და გაძლიერებული სახელმწიფო კონტროლის ლეგიტიმაცია, ეროვნული სუვერენიტეტისა და იდენტობის დაცვის საბაბით.

4.2.

„რუსული კანონის" გავლენა

2024 წლის აპრილის თვეში, "ქართულმა ოცნებამ" კვლავ დააინიცირა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტი, 4 რასაც ფართო საზოგადოებრივი პროტესტი და წინააღმდეგობა მოჰყვა, თუმცა, პარტიამ ეს კანონი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე პოლიტიკური კონტროლის გასამყარებლად გამოიყენა.

კანონის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიასაშუალებებს, რომლებიც დაფინანსების 20%-ზე მეტს უცხოეთიდან იღებდნენ, „უცხო ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციებად“ დარეგისტრირება მოეთხოვებოდათ. ამ იარლიყმა საზოგადოების თვალში სადამკვირვებლო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ჟურნალისტები უცხოელ აგენტებად წარმოაჩინა, რამაც მასტიგმატიზებელი ეფექტი შექმნა. „ქართულმა ოცნებამ“ ეს სტრატეგია გამოიყენა კრიტიკოსების დისკრედიტაციისა, კორუფციის, საარჩევნო მანიპულაციებისა თუ ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ გამომვლენი ფაქტების შესახებ სანდოობის შესარყევად. კანონი ინიცირებით და შემდეგ მისი მიღებით, „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო პერიოდში კონტროლისნ მექანიზმები ფაქტობრივად გაანეიტრალა.

არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე კანონის ხელახლა ინიცირებამ „ქართულ ოცნებას“ საშუალება მისცა, პოლიტიკური დისკუსია მმართველობითი ხარვეზების, ეკონომიკური გამოწვევებისა თუ დემოკრატიული უკუსვლის შესახებ დაეყვანა კონტროლირებად დებატებამდე, რომლებიც „სუვერენიტეტის“ და „უცხოური ჩარევის“ საკითხებზე იყო ფოკუსირებული. აღნიშნულმა სტრატეგიულმა ნაბიჯმა ოპოზიციური პარტიების გზავნილებისა და საზოგადოების ყურადღების ფოკუსიც შეცვალა, რის შედეგადაც პოლიტიკური პარტიები საარჩევნო კამპანიების წარმოების ნაცვლად, ძირითადად კანონის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიხარჯნენ.

05

საკანონმდებლო რეფორმები, როგორც არჩევნების კონტროლის ინსტრუმენტი

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, საარჩევნო ინსტიტუტების დამოუკიდებლობა ეტაპობრივად შეიზღუდა მიზანმიმართული საკანონმდებლო ცვლილებების და პროცედურული რეგულაციების გზით. იმის ნაცვლად, რომ განხორციელებულიყო სრულყოფილი რეფორმა, რომელიც გაზრდიდა საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობას და მიუკერძოებლობას, „ქართულმა ოცნებამ“ აირჩია სტრატეგია, სადაც ცვლილებები ხშირად მოულოდნელად ხდებოდა და უგულებელყოფდა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, როგორიცაა

5.1.

სამართლებრივი ბარიერები ოპოზიციური პარტიების ხილვადობის და თანამშრომლობის შესაზღუდად

კანონში შეტანილი ცვლილებით, პოლიტიკური პარტიები ვალდებულნი გახდნენ გამოეყენებინათ მხოლოდ წესდებაში დაფიქსირებული ოფიციალური სახელწოდებები. ამ ნორმამ გამორიცხა საარჩევნო ბიულეტენებზე პარტიის ლიდერის სახელის დამატების შესაძლებლობა, რაც ნაკლებად ცნობილი პარტიებისთვის საიდენტიფიკაციო და ბრენდინგის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა. ასევე, ახალი რეგულაციით აიკრძალა სხვა პარტიების წევრების საკუთარი პარტიის საარჩევნო სიაში ჩართვა. აღნიშნულმა ცვლილებამ არსებითი ზიანი მიაყენა ოპოზიციურ პარტიებს, რომელთაც, საარჩევნო ბლოკების ფორმირების შეუძლებლობის პირობებში, ფართო პოლიტიკური ალიანსების შექმნის ინტერესი გააჩნდათ.

5.2.

„დელეგატების“ სისტემის შემოღება და მაჟორიტარული სისტემის პრინციპის დაბრუნება

2024 წლის მაისში განხორციელებულმა ცვლილებებმა საარჩევნო კანონმდებლობაში შემოიღო ნორმა, რომლის თანახმადაც, პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატები ფორმალურად იწოდებოდნენ კონკრეტული საარჩევნო ოლქების „დელეგატებად“. [6] მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდა პროპორციული საარჩევნო სისტემით, აღნიშნულმა ცვლილებამ ფაქტობრივად დააბრუნა მაჟორიტარული სისტემის ელემენტები, რათა საზოგადოებაში შექმნილიყო აღქმა, თითქოს არჩევნები კვლავ ძველი, მაჟორიტარული მოდელით ტარდებოდა.

5.3.

საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციების წინასწარი გადანაწილება

2024 წლის 16 აგვისტოს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილმა გამოსცა ბრძანება, რომელმაც შეცვალა საუბნო საარჩევნო კომისიების (სსკ) წევრებს შორის ფუნქციების განაწილების ვადები. [7] ახალი რეგულაციით, ფუნქციების განაწილებისთვის წილისყრა

არჩევნების დღის ნაცვლად, ჩატარდა არჩევნებამდე შვიდი დღით ადრე. ცესკომ ეს პროცედურული ცვლილება ახსნა ლოჯისტიკური სირთულეებით, რაც თითქოს გამოწვეული იყო ელექტრონული ხმის მიცემის სისტემის დანერგვით და საჭირო იყო დამატებითი დრო უბნების მოსამზადებლად.

ამ ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საარჩევნო პროცესის სანდოობაზე. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ფუნქციების წინასწარმა გადანაწილებამ „ქართულ ოცნებას“ საშუალება მისცა, მიზანმიმართულად ემოქმედა კონკრეტულ კომისიის წევრებზე და გააღრმავა ეჭვები საარჩევნო ადმინისტრაციის ნეიტრალიტეტის თაობაზე.

5.4.

მენდერული კვოტების გაუქმება

2024 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სავალდებულო გენდერული კვოტები საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სიებისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილება მწვავე კრიტიკის საგანი გახდა როგორც სამოქალაქო საზოგადოების, [8] ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, [9] რადგან ის უკან გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით. „ქართულმა ოცნებამ“ ცვლილება წარადგინა, როგორც „არასაჭირო მექანიზმის“ გამოსწორება, თუმცა პოლიტიკური კონტექსტი მკაფიოდ მიუთითებდა მმართველ პარტიასა და პარტია „გირჩს“ შორის არსებულ შეთანხმებაზე, რომელიც მომსახურების სანაცვლოდ მიღებულ სარგებელს ეფუძნებოდა (quid pro quo პრინციპით).

კერძოდ, „გირჩმა“ პარლამენტში კვოტების გაუქმების ინიციატივა დააყენა, რის სანაცვლოდაც მხარი დაუჭირა „ქართული ოცნების“ კანდიდატებს ცესკოს თავმჯდომარისა და პროფესიული წევრების თანამდებობებზე. ეს ფაქტი გადამწყვეტი იყო „ქართული ოცნებისთვის“, რათა სასურველი კანდიდატები ფართო კონსენსუსის გარეშე დაენიშნა. [10] ამ შეთანხმებამ გააძლიერა „ქართული ოცნების“ კონტროლი საარჩევნო ადმინისტრაციაზე და, ამავდროულად, შეასუსტა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად არსებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი გარანტიები.

5.5.

მაღალი (5%-იანი) საარჩევნო ბარიერის შენარჩუნება

მიუხედავად იმისა, რომ 2024 წელს საქართველო სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე ფორმალურად გადავიდა, რაც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვან ეტაპად უნდა ქცეულიყო, მისი პრაქტიკული იმპლემაცია განსხვავებული შედეგების მომტანი აღმოჩნდა. ამის მაგალითი იყო მაღალი, 5%-იანი საარჩევნო ბარიერის

შენარჩუნება, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა 2021 წლის ევროკავშირის შუამავლობით მიღებულ შარლ მიშელის შეთანხმებას. [11] ეს შეთანხმება ითვალისწინებდა საარჩევნო ბარიერის 2%-მდე შემცირებას, რათა უფრო ფართო პოლიტიკური წარმომადგენლობა და მრავალფეროვანი პოლიტიკური გარემო შექმნილიყო. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, საარჩევნო ბლოკების აკრძალვასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეაფერხა მცირე და ახალი პარტიების შანსები, რამაც შეზღუდა პოლიტიკური მრავალფეროვნება და გაამყარა მსხვილი მოთამაშეების დომინირება.

06

ინსტიტუციური მიტაცება და საარჩევნო ადმინისტრაციის ხელში ჩაგდება

6.1.

ცესკოს თანმიმდევრული და ინსტიტუციური დამორჩილება

„ქართული ოცნების“ მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დამოუკიდებლობის სისტემური მოშლა მკაფიოდ გამოიკვეთა გიორგი კალანდარიშვილის თავმჯდომარედ არჩევის პროცესში. 2024 წლის თებერვალში „ქართულმა ოცნებამ“ ცვლილება შეიტანა საარჩევნო კოდექსში, რითაც ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების წარდგენის უფლებამოსილება პრეზიდენტს (რომელიც წინააღმდეგი იყო ამ

ცვლილებების) ჩამოართვა და პარლამენტის თავმჯდომარეს გადასცა. ამ ნაბიჯმა პირდაპირ გაუხსნა გზა "ქართულ ოცნებას", რომ კალანდარიშვილის სრული ვადით დაენიშნა.

კალანდარიშვილმა ცესკოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება პირველად 2021 წლის აგვისტოში დაიწყო, [12] ოპოზიციის ბოიკოტის ფონზე, [13] და მომდევნო წლებში, ყოველ ექვს თვეში ერთხელ, ხელახლა აირჩეოდა, ოპოზიციის მხარდაჭერის გარეშე. ეს პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდიოდა 2021 წლის 19 აპრილის ევროკავშირის შუამავლობით მიღწეულ ე.წ. "შარლ მიშელის შეთანხმებასთან", რომელიც ცესკოს თავმდჯომარის სრული ვადით არჩევისთვის დეპუტატთა ორი მესამედის, ანუ ოპოზიციური პარტიების მხარდაჭერას მოითხოვდა. [14]

საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ვეტოს უფლება გამოიყენა, თუმცა პარლამენტმა მისი ვეტო 2024 მარტში დაძლია. [15] მოვლენათა ამ ჯაჭვმა კულმინაციას 2024 წლის 30 აპრილს მიაღწია, როდესაც გიორგი კალანდარიშვილი, ერთადერთი კანდიდატის სტატუსით, ხუთწლიანი ვადით ცესკოს თავმჯდომარედ აირჩიეს. მისი დანიშვნა არამხოლოდ ასახავდა მმართველი პარტიის სტრატეგიულ მიზანს, გაეძლიერებინა კონტროლი საარჩევნო ადმინისტრაციაზე, არამედ მიუთითებდა მათ გამოკვეთილ სურვილზე, რომ აღნიშნული პოზიცია სწორედ გიორგი კალანდარიშვილს დაეკავებინა.

6.2.

თავმჯდომარის მოადგილის პოზიციის გაუქმება და შიდა კონტროლის გამარტივება

"ქართულმა ოცნებამ" გააუქმა ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა, რომელსაც ტრადიციულად ოპოზიციის კანდიდატი ასრულებდა. ასევე, ცვლილებებმა გაამარტივა ცესკოში შიდა გადაწყვეტილების მიღების წესები, უბრალო უმრავლესობით მიღების დაშვებით. ამ ცვლილებებმა შეასუსტა პლურალიზმი ცესკოში, შეამცირა პარტიული კონტროლის მექანიზმები და შექმნა სტრუქტურა, რომელშიც ერთპარტიულ უმრავლესობას შეეძლო დომინირება საარჩევნო პროცესებზე. [16]

6.3.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების პოლიტიზება

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული წევრების შერჩევის პროცესი პოლიტიკურად არათანაბარ და არაკონკურენტულ გარემოში წარიმართა. როგორც ეუთო/ოდირის ანგარიშშია აღნიშნული, "შესარჩევი კანდიდატების არჩევანი შეზღუდული იყო და საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე განაცხადების რაოდენობა მხოლოდ ერთი პროცენტით აღემატებოდა საჭირო მინიმუმს, რაც უმეტეს ვაკანტურ პოზიციებზე კონკურენციას მინიმუმამდე ამცირებდა". [17]

დანიშნული პირები მარტივი უმრავლესობით აირჩეოდნენ და ხშირად საჯარო დაწესებულებებში ან ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სხვა ორგანიზაციებში იყვნენ დასაქმებულნი. ოპოზიციის მიერ დანიშნული წევრებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებში მონაწილეობის ხელშეშლის შემთხვევები მიუთითებდა როგორც მათი კანონით გარანტირებული უფლებების დარღვევაზე, ასევე საარჩევნო პროცესში პარტიული გავლენის ზრდაზე. როგორც ეუთო/ოდირის დასკვნაშია აღნიშნული, "გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ზოგჯერ კოლეგიალობა აკლდა; ოპოზიციის წევრები აღნიშნავდნენ, რომ მათთან ინფორმაცია შეზღუდულად ზიარდებოდა და რომ ისინი მარგინალიზაციის სამიზნე ხდებოდნენ". [18]

საზოგადოების მხარდაჭერის შემცირებისა და სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შედეგად გამოწვეული გაურკვევლობის ფონზე, „ქართული ოცნების" სტრატეგიული კონტროლი საარჩევნო კომისიებზე, არჩევნების წაგების რისკების შესამცირებლად იყო მიმართული. როგორც ეუთო/ოდირმა დაასკვნა, "საარჩევნო კომისიების ყველა დონეზე მმართველ პარტიასთან კავშირების შესახებ ბრალდებებმა კიდევ უფრო შეასუსტა საზოგადოების ნდობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ." [19]

გარემოში, სადაც სასამართლო სისტემა პოლიტიკურად კომპრომენტირებული, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მზარდი ზეწოლის წინაშე იდგნენ, საარჩევნო ადმინისტრაციაზე მმართველი პარტიის კონტროლი ძალაუფლების კონსოლიდაციისა და შენარჩუნების ერთ-ერთ კრიტიკულ ბერკეტად ჩამოყალიბდა.

07

მოქალაქეთა გამქრალი ხმები მართულ მედია ნარატივში

2024 წლის არჩევნებზე, მედია, დიალოგის პლატფორმის ნაცვლად, გავლენის ინსტრუმენტად იქცა. მოქალაქეების წუხილების და ყოველდღიური სირთულეების გაჟღერების ნაცვლად, „ქართულმა ოცნებამ“ მედიასაშუალებები გამოიყენა მართული ნარატივის გასაძლიერებლად, პროპაგანდის გასავრცელებლად და განსხვავებული აზრის ჩასახშობად.

მედიაგარემო მკვეთრად პოლარიზებული იყო. კერძოდ, მსხვილი მედიასაშუალებები ხშირად „ქართული ოცნების“ ან ოპოზიციის მოკავშირეებად აღიქმებოდნენ. [20] ეს პოლარიზაცია განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც „ქართულმა ოცნებამ“ აქტიურად დაიწყო კრიტიკული მედიასაშუალებებისთვის ბოიკოტის გამოცხადება და უარს აცხადებდა მათ საინფორმაციო გადაცემებსა თუ დებატებში მონაწილეობაზე. ამავდროულად, პროსამთავრობო მედია ეთერს არ უთმობდა ოპოზიციურ ლიდერებს. ყოველივე ამან, შეზღუდა ამომრჩეველთა შესაძლებლობა მიეღო ინფორმაცია განსხვავებული პოლიტიკური ხედვების შესახებ. [21]

საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, რომელიც კანონით მიუკერძოებელი უნდა იყოს, საარჩევნო პერიოდში გაშუქებისას მიკერძოება გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ტონი ყველა კანდიდატის მიმართ ძირითადად ნეიტრალური ან დადებითი იყო, საინფორმაციო გაშუქების არაპროპორციულად დიდი ნაწილი, 61%, „ქართულ ოცნებას“ დაეთმო, რითაც ხელი შეუწყო პარტიული გზავნილების გავრცელებას. [22]

კომერციული ტელევიზიები, განსაკუთრებით „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული არხები, აშკარად პროპაგანდისტულ იარაღად ფუნქციონირებდნენ. მაგალითად, „იმედი“ გაშუქების 82%-ს, ხოლო „რუსთავი 2“ 80%-ს მმართველ პარტიას უთმობდა. მათ მკაფიო პოლიტიკური მიკერძოება გამოავლინეს, რაც „ქართული ოცნების“ უმეტესად დადებით გაშუქებასა და ოპოზიციის ნეგატიურ წარმოჩენაში გამოიხატებოდა. [23] ეს მედიასაშუალებები ჩართულნი იყვნენ ფართომასშტაბიან, ხშირად დაუფარავ სარეკლამო კამპანიებში, რომლებიც მმართველი პარტიის პოზიციონირებასა და ოპონენტების დისკრედიტაციას ემსახურებოდა.

გარდა ამისა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, მიკერძოება და პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაცია გამოავლინა. კომისიის გადაწყვეტილებები ხშირად ემთხვეოდა მმართველი პარტიის ინტერესებს, რაც გამოიხატებოდა კრიტიკული მედიასაშუალებების მიმართ სანქციების გამოყენებით. ეს მოიცავდა წინასაარჩევნო კამპანიის რეგულაციების ვიწრო ინტერპრეტაციას, რამაც გამოიწვია სანქციები მაუწყებლების წინააღმდეგ და ოპოზიციური პარტიებისთვის მედიაში აგიტაციის შესაძლებლობების შეზღუდვა. [24]

08

პროპაგანდა და მტრის ხატის შექმნა

8.1.

არჩევნების წარმოჩენა, როგორც ბრძოლა ეროვნული გადარჩენისთვის

წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში, „ქართული ოცნება“ მომავალ არჩევნებს მუდმივად წარმოაჩენდა არა როგორც არჩევანს მმართველობის კონკურენტულ ხედვებს შორის, არამედ როგორც რეფერენდუმს ეროვნული გადარჩენისთვის.

2024 წლის 20 აგვისტოს გამოქვეყნებულ განცხადებაში „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ საკითხი შემდეგნაირად დააყენა: “2024 წლის საპარლამენტო არჩევნები არის ერთგვარი რეფერენდუმი, სადაც ქართველმა ხალხმა საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, ირჩევს ომს თუ ირჩევს მშვიდობას, ირჩევს მორალურ

დეგრადაციას თუ ირჩევს ტრადიციულ ფასეულობებს, ირჩევს გარე ძალებზე საქართველოს მონურ დამოკიდებულებას თუ ირჩევს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, ირჩევს კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას თუ ირჩევს ქართულ ოცნებას". [25]

„ქართულმა ოცნებამ" უარყო დემოკრატიული კურსი და საზოგადოება ორ ჯგუფად დაყო: „ერის გვერდით მყოფებად" და „მის წინააღმდეგედ". ამ მიდგომამ „ქართულ ოცნებას" საშუალება მისცა, რომ ყურადღება გადაეტანა ისეთი მწვავე პრობლემებიდან, როგორიცაა სიღარიბე და სოციალური-ეკონომიკური გამოწვევები.

8.2.

ომის შიში

მეორე, თანაბრად ძლიერი ტაქტიკა, რაც „ქართულმა ოცნებამ" თავის ნარატივში შემოიტანა, იყო ომის შიში. მისი შინაარსი არჩევნებს ომსა და მშვიდობას შორის რეფერენდუმად აღწერდა. ამომრჩევლებს სულ უფრო მკაცრი ტერმინებით აფრთხილებდნენ, რომ ოპოზიციისთვის მიცემული ხმა ეროვნულ განადგურებას ნიშნავდა. „ქართული ოცნების" ოფიციალურმა პირებმა შექმნეს ქაოსის, ტანჯვისა და განადგურების სახე-ხატები, რითაც მიანიშნებდნენ, რომ თუ „ქართული ოცნება" აბსოლუტურ მხარდაჭერას არ მიიღებდა, საქართველო უკრაინის ბედს გაიზიარებდა.

ეს ნარატივი "ქართულმა ოცმებამ" განამტკიცა ბილბორდების კამპანიით, რომელიც ქმნიდა კონტრასტს ომისგან განადგურებულ უკრაინასა და მშვიდობიან საქართველოს შორის. უკრაინელი ხალხის ტრაგედია საარჩევნო მიზნებისთვის იქნა გამოყენებული.

ფოტოზე გამოსახულია დონეცკის ოლქის სოფელ ბოგოჰოდიჩნეში დაბომბვის შედეგად დანგრეული ეკლესია, ხოლო მარჯვნივ თბილისის სამების საკათედრო ტაძრის ფერადი ფოტო.

ყველა ბილბორდზე მთავარი გზავნილი იყო: აირჩიეთ მშვიდობა (41 „ქართული ოცნება") - არა ომს (ოპოზიციური პარტიები: 4 - „კოალიცია ცვლილებებისთვის", 5 - „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა", 9 - კოალიცია ძლიერი საქართველო და 25 - პარტია „გარარია საქართველოსთვის").

ბილბორდების კამპანიებთან ერთად, „ქართულმა ოცნებამ“ ვიდეოებიც გადაიღო, სადაც უკრაინის ბრძოლის ველის კადრებს საქართველოს მშვიდობიან ვითარებას უპირისპირებდა. [26] 2024 წლის 5 ოქტომბერს ტელევიზიებმა - „მთავარმა არხმა“, „ფორმულამ“ და „ტვ პირველმა“ - განცხადება გაავრცელეს, სადაც აღნიშნეს, რომ მოსალოდნელი ჯარიმების მიუხედავად, ამ ვიდეოებს ეთერში არ გაუშვებდნენ. ამის საპასუხოდ, 9 ოქტომბერს, კომუნიკაციების კომისიამ სამივე არხი 5,000 ლარით დააჯარიმა. [27] ამგვარ ვითარებაში, „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური არჩევანი ემოციური შანტაჟით ჩაანაცვლა. ხმის მიცემა აღარ იყო სამოქალაქო მოვალეობა ან პოლიტიკური პრეფერენციის გამოხატულება; ის ეროვნული ინტერესების ტესტად იქცა, რომელიც ეგზისტენციალური გადარჩენის საკითხად წარმოაჩინა. პარტიამ მის წინააღმდეგ მიცემული თითოეული ხმა ქვეყნის სტაბილურობის საფრთხედ და ეროვნული ნგრევისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეფუთა.

8.3.

მტრების შექმნა: „გლობალური ომის პარტიის“ მრავალი ელფერი

შიშის დათესვის შემდეგ, „ქართულ ოცნებას“ მის შესანარჩუნებლად მტრები სჭირდებოდა. შედეგად, დაიბადა „გლობალური ომის პარტია“ (GWP). პარტიამ შექმნა ბოროტმოქმედი, იმდენად მოქნილი, რომ მას შეეძლო ყოფილიყო უხილავი ძალა ყველაფრის უკან, თუ ის მის ინტერესებს დაუპირისპირდებოდა. GWP წარმოდგენილი იყო როგორც საიდუმლო სინდიკატი, რომელიც თანდათან უფრო მრავალფეროვანი გახდა და მოიცვა ევროპარლამენტი, აშშ-ის ადმინისტრაცია და უცხოელი ელჩები. როგორც „ქართული ოცნების“ ერთმა პარლამენტის წევრმა დიდი გულისხმიერებით აუხსნა საზოგადოებას, “გლობალური ომის პარტიაში” მასონებიც კი იყვნენ. [28] დროთა განმავლობაში, „გლობალური ომის პარტია“ ასევე დაუკავშირდა ამერიკულ სამხედრო-ინდუსტრიულ კომპლექსს და ისეთ კორპორაციებს, როგორიცაა BlackRock და Vanguard. [29]

“გლობალური ომის პარტიის” ირგვლივ არსებული მთავარი ნარატივი ფოკუსირებული იყო „მეორე ფრონტის“ გახსნაზე, რაც საქართველოს დესტაბილიზაციასა და რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის პროვოცირებას ისახავდა მიზნად. [30] პარტია ხაზს უსვამდა, რომ გარე ძალები, შიდა მტრებთან თანამშრომლობით, ამ ფრონტის შექმნას გეგმავდნენ. „ქართული ოცნების“ მტკიცებით, ამ უცხოელ აქტორებს მიზნად ჰქონდათ საქართველოს სტაბილურობის შელახვა, რუსეთთან ომში ჩათრევა და სუვერენიტეტისთვის საფრთხის შექმნა. [31] მშვიდობა წარმოდგენილი იყო როგორც მყიფე მოცემულობა, რომელიც „ქართული ოცნების“ მუდმივ კონტროლზე იყო დამოკიდებული, რათა ქაოსი არ დაწყებულიყო.

„ქართულმა ოცნებამ“ მტრები ორ კატეგორიად დაყო. ის ამტკიცებდა, რომ ორივე ჯგუფი დაკავშირებული იყო „გლობალური ომის პარტიასთან“, რითაც მიანიშნებდა, რომ ისინი ქვეყნის დესტაბილიზაციისა და არეულობისთვის მიმართულ მითითებებს ასრულებდნენ.

პირველ ჯგუფს შეადგენდნენ ოპოზიციური პარტიები, რომლებიც მოიხსენიებოდნენ როგორც „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“. [32] ის წარმოჩენილი იყო, როგორც ერთი, ძირგამოთხრილი ერთეული. „ქართული ოცნება“ აცხადებდა რომ, „საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთანავე ჩვენ დავაინიცირებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ყველა მისი სატელიტი თუ მემკვიდრე პარტია არაკონსტიტუციურად გამოცხადდება.“ [33] ეს განცხადება არა მხოლოდ პოლიტიკური კონკურენციის ხაზგასმას ისახავდა მიზნად, არამედ აშკარად მიანიშნებდა ოპოზიციური პარტიების განადგურების სტრატეგიულ განზრახვაზე.

შიდა მტრების მეორე კატეგორიაში იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებსაც „ქართული ოცნება“ „უცხოელ აგენტებად“ მოიხსენიებდა. „ქართული ოცნების“ ნარატივი ამ ორგანიზაციებს „რევოლუციური სცენარების“ ორგანიზებაში ადანაშაულებდა, ხოლო საერთაშორისო აქტორებს შიდა „კრიმინალების“ მფარველობაში სდებდა ბრალს.

8.4.

ღიბერალური ღირებულებები, როგორც ეროვნული იდენტობისა და სუვერენიტეტის საფრთხე

2024 წლის მაისის დასაწყისში, არასამთავრობო ორგანიზაციების ოფისების კედლებზე, უფლებადამცველების, ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების სახლებისა და სადარბაზოების მახლობლად, გრაფიტები და პლაკატები გამოჩნდა. ეს იყო „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებული სიძულვილის კამპანიის ნაწილი, რომელიც ამ პირთა წინააღმდეგ იყო მიმართული „რუსული კანონის“ გაპროტესტების გამო.

ამ თავდასხმებს თან ახლდა მუქარის შემცველი სატელეფონო ზარები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ნომრებიდან. მუქარა მიმართული იყო არა მხოლოდ ზემოხსენებული პირების, არამედ მათი ოჯახის წევრების, მათ შორის არასრულწლოვანი ბავშვებისა და ხანდაზმული ადამიანების წინააღმდეგ. [34]

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს წევრმა და პარლამენტის დეპუტატმა, დიმიტრი სამხარაძემ, თავის პირად Facebook გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეო,[35] სადაც სახე დაფარული პირები აზიანებდნენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენელთა ოფისებსა და სახლებს.[36] ღამით გადაღებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ ესვრიან შენობებს კვერცხებს და იყენებენ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს.



„ქართული ოცნება“ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს საჯაროდ წარმოაჩენდა როგორც „ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის“ გამავრცელებლებს და ამტკიცებდა, რომ მათი მიზანი იყო „ყველაზე დაბალი რანგის მონის გამოყვანა, რომელიც მარტივად დაექვემდებარება მანიპულირებას“. [37] ამ რიტორიკულ ჩარჩოში სამოქალაქო აქტივიზმი, ლგბტქ+ უფლებები და საგანმანათლებლო რეფორმებიც კი ერთიანდებოდა როგორც ეროვნული იდენტობის, მორალური ღირებულებებისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიური იარაღი.

მტრის ხატის სისტემური ფორმირებით, „ქართულმა ოცნებამ“ კვლავ გამართლება მოუძებნა საკუთარ მოთხოვნას კონსტიტუციური უმრავლესობის აუცილებლობაზე. პარტია ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ოპონენტების სრული ნეიტრალიზებით შეძლებდა დემოკრატიისა და ეროვნული სუვერენიტეტის „გადარჩენას“.

8.5.

რუსული დეზინფორმაციის მიმართ ღუმილი და დასავლეთის ხმამაღალი კრიტიკა

მაშინ როდესაც „ქართული ოცნება“ ამტკიცებდა, თითქოს ოპოზიციური პარტიები დასავლეთის მხარდაჭერით „მეორე ფრონტის გახსნას“ და საქართველოს რუსეთთან ომში ჩათრევას გეგმავდნენ, პარტია დადუმდა, როდესაც რუსეთმა თავად დაიწყო კოორდინირებული დეზინფორმაციული კამპანია საქართველოს საარჩევნო პროცესის წინააღმდეგ.

2024 წლის აგვისტო-სექტემბერში რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურმა (SVR) აშშ დაადანაშაულა საქართველოს საარჩევნო პროცესში ჩარევაში, რისთვისაც, მათი მტკიცებით, ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისია გამოიყენებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბრალდებები აბსურდული იყო, მას სტრატეგიული მიზანი ჰქონდა, კერძოდ, ოდირის წარმოჩენა ამერიკული დაზვერვის მარიონეტებად, რომლებიც ნიადაგს ამზადებდნენ „ფერადი რევოლუციისთვის“. [38] აღნიშნული ბრალდებები იმეორებდა „ქართული ოცნების“ მიერ, შიდა საინფორმაციო სივრცეში უკვე დამკვიდრებულ რიტორიკას, სადაც უცხოური მხარდაჭერა, საერთაშორისო მონიტორინგი და სამოქალაქო ჩართულობა საქართველოს სუვერენიტეტის ეგზისტენციალურ საფრთხედ იყო გამოცხადებული.

„ქართული ოცნების“ მხრიდან სათანადო რეაგირების არარსებობა მიზანმიმართული ხასიათის იყო და სრულად შეესაბამებოდა პარტიის ფართო პოლიტიკურ სტრატეგიას. მმართველი პარტია დასავლეთის ჩართულობას შიდასახელმწიფოებრივ საქმეებში ჩარევად აფასებდა, ხოლო სამოქალაქო საზოგადოებას – უცხოური გავლენების ინსტრუმენტად განიხილავდა. ამასთან, იგი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს იმას, რომ მშვიდობისა და ეროვნული სუვერენიტეტის ერთადერთ გარანტორი იყო. შესაბამისად, რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის (SVR) განცხადებებზე რეაგირების არარსებობა არ უნდა შეფასდეს, როგორც საგარეო პოლიტიკის შემთხვევითი ხარვეზი. ეს იყო კრემლის ნარატივთან სტრატეგიულად გააზრებული და მიზანმიმართული თანხვედრა.

09

როგორ შექმნა „ქართულმა ოცნებამ“ ნიადაგი არჩევნების გასაყალბებლად

წინასაარჩევნო მანიპულაციები

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ერთ დღეს შესრულებული მანიპულაციისა და გაყალბების შედეგი არ ყოფილა. „ქართულმა ოცნებამ“, სისტემურად და ეტაპობრივად, სრულიად მიზანმიმართულად წაშალა ზღვარი სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მმართველ პოლიტიკურ ძალას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ სადამკვირვებლო მისიებმა არჩევნების დღეს გამოვლენილი მძიმე დარღვევების დოკუმენტირება შეძლეს, არჩევნების შედეგები არა იზოლირებულად, არამედ მთლიან კონტექსტში უნდა განვიხილოთ. არჩევნების დღის დარღვევები იყო კულმინაცია, რადგან საარჩევნო პროცესი „ქართულმა ოცნებამ“ კენჭისყრამდე დიდი ხნით ადრე დააზიანა.

ამომრჩეველთა უკანონო პროფილირებით, სოციალურად მოწყვლად ჯგუფებზე ზეწოლით, პირადობის მოწმობების ჩამორთმევითა და უბნის ქოლ-ცენტრების ოპერირებით, „ქართულმა ოცნებამ“ ქცევის კონტროლის ცენტრალიზებული სისტემა შექმნა. ამ სტრატეგიამ ძირი გამოუთხარა სამართლიანი არჩევნების საყრდენ პრინციპებს და ხმის მიცემის პროცესი დემოკრატიული ნების გამოხატვის ნაცვლად იძულებით მორჩილებად გარდაქმნა.

9.1.

არჩევანის კონტროლის სქემა დაფუძნებული იყო სამი ძირითადი მექანიზმის ერთობლივ

არჩევანის კონტროლის სქემა დაფუძნებული იყო სამი ძირითადი მექანიზმის ერთობლივ მოქმედებაზე. ეს მექანიზმები თანაბრად მნიშვნელოვანი იყო და ერთმანეთის ეფექტურობას აძლიერებდა:

ამომრჩეველთა პროფილირების საიდუმლო ქსელი
უკანონოდ შექმნილი მონაცემთა ბაზა, რომელიც გამოიყენებოდა ამომრჩევლების კლასიფიკაციისთვის, მათი საქმიანობის ზედამხედველობის და საარჩევნო გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოსახდენად.

ზეწოლის მექანიზმი
რომელიც მოიცავდა ამომრჩეველთა დაშინებას, მუქარას.

საარჩევნო უბნებზე არსებული ე.წ. უბნის ქოლცენტრების ქსელი
რომლის ძირითადი დანიშნულება იყო არჩევნების დღეს ამომრჩეველთა აქტივობის რეალურ დროში მონიტორინგი და მუდმივად განახლებული ინფორმაციის ცენტრალური პარტიული შტაბისთვის მიწოდება.

იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ, რატომ და როგორ განვითარდა არჩევნების დღის ძირითადი დარღვევები, მათ შორის, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, ამომრჩეველთა დაშინება, აქტივობის მონაცემებით მანიპულირება და საარჩევნო უბნებზე არაუფლებამოსილი პირების ყოფნა, აუცილებელია სწორედ ამ სისტემების სიღრმისეული ანალიზი. ამ მექანიზმებმა დარღვევები არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ გარდაუვალიც გახადა.

9.1.1.

ამომრჩეველთა პროფილირების საიდუმლო ქსელი

ამომრჩეველთა პროფილირების ვრცელი სისტემის შექმნითა და სახელმწიფო მონაცემთა ბაზებზე წვდომის ბოროტად გამოყენებით, „ქართულმა ოცნებამ“ შექმნა მოქალაქეთა დეტალური დოსიეები, რომლებიც მოიცავდა პერსონალური მონაცემების ისეთ სენსიტიურ კატეგორიებს, როგორიცაა: ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნასამართლობა, პოლიტიკური კუთვნილება, დასაქმების სტატუსი, მთავრობისგან ოდესმე მიღებული სოციალური დახმარების შესახებ ინფორმაცია და სხვა. [39] ამ მონაცემების საფუძველზე პარტიას შეეძლო ამომრჩეველთა დაყოფა კატეგორიებად მათი დამორჩილებისა და ზეგავლენისადმი მოწყვლადობის ხარისხის მიხედვით.

„ქართული ოცნება“ პერსონალურ მონაცემებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მეშვეობით მოიპოვებდა, მათ შორის ჯანდაცვის, იუსტიციის, განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის დახმარებით.[40] განსაკუთრებით ყურადღება ეთმობოდა უცხოეტში მყოფ ამომრჩევლებს, რომლებიც მიუხედავად მათი ადგილსამყოფელისა, საარჩევნო სიებში რჩებოდნენ. ეს ქმნიდა რეალურ საფრთხეს, რომ არჩევნების დღეს მათი სახელით ხმის მიცემა მანიპულაციის საგანი გამხდარიყო.

„ქართული ოცნებისთვის“ მონაცემების უშუალო მიმწოდებლები იყვნენ პარტიის აქტივისტები, ადგილობრივი კოორდინატორები, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ან მათთან დაახლოებული პირები.[41] განსაკუთრებით სენსიტიური კატეგორიის მონაცემები, მათ შორის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ნასამართლობისა და სოციალური სტატუსის შესახებ, პარტიას მიეწოდებოდა შესაბამისი სამინისტროების მეშვეობით და შემდეგ ზუსტდებოდა ინფორმირებული ადგილობრივი წარმომადგენლების, მათ შორის სკოლის დირექტორებისა და სხვა პირების მონაწილეობით, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ამომრჩეველთა მონიტორინგსა და მათზე ზეგავლენის მოხდენაზე. [42]

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიდგომა წარსულშიც იყო გამოყენებული. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებისა“ (ISFED) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ერთობლივი კვლევის თანახმად, 2018-2020 წლებში „ქართული ოცნება“ ამომრჩეველთა მობილიზების ფართომასშტაბიან სქემას ქმნიდა. [43] სახელმწიფო უსაფრთხოები სამსახურიდან გამოჟონილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები, მათ შორის სამართალდამცავი ორგანოები და საჯარო უწყებები, სისტემატურად გამოიყენებოდა პერსონალური მონაცემების შესაგროვებლად, განსაკუთრებით საჯარო სამსახურში დასაქმებულ თანამშრომლებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად. გარდა ამისა, მაღალი რანგის პარტიული თანამდებობის პირები ხმების სანაცვლოდ ამომრჩევლებს სთავაზობდნენ, მაგალითად, პირობითი მსჯავრის მოხსნას, ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლებას ან ჩამორთმეული მართვის მოწმობის აღდგენას.

ამავე კვლევის თანახვად, “ქართული ოცნება” ადამიანებს მორჩილებას აიძულებდა. სამსახურის და სტატუსის შესანარჩუნებლად, მათ მოეთხოვებოდათ პოლიტიკური ლოიალობა. სქემა სცდებოდა ცალკეულ ინდივიდებს და მათ ოჯახებზეც ვრცელდებოდა. მაგალითად, პრობაციონერების და მსჯავრდებულების ოჯახის წევრებიც ამ სისტემის ნაწილი ხდებოდნენ. საარჩევნო ხმები მოიპოვებოდა არა დარწმუნებით, არამედ შიშისა და პარტიაზე დაქვემდებარების გზით.

9.1.2.

ზეწოლის მექანიზმები

არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად, „ქართული ოცნება“ ამომრჩევლებზე ზეწოლისა და მათი ქცევის კონტროლის მიზნით სხვადასხვა ტაქტიკას მიმართავდა. ეს მეთოდები განსაკუთრებით მოწყვლად მოსახლეობაზე იყო მიმართული და ხშირად სახელმწიფო რესურსებისა და ინსტიტუციების ბოროტად გამოყენებას მოიცავდა. ზეწოლის ძირითადი ფორმები იყო:

- **ამომრჩევლებთან აგრესიული კომუნიკაცია და მონიტორინგი საჯარო მოხელეების რართულობით.**
- **სოციალური და ეკონომიკური მოწყვლადობის ბოროტად გამოყენება.**
- **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების (ID ბარათების) ჩამორთმევა.**
- **ამომრჩევლებთან აგრესიული კომუნიკაცია და მონიტორინგი საჯარო მოხელეების რართულობით.**

ამომრჩეველთა მობილიზებაზე პასუხისმგებელი პირები აქტიურ კომუნიკაციაში შედიოდნენ ამომრჩეველთან სატელეფონო ზარების, შეტყობინებების, ელექტრონული ფოსტისა და, ზოგჯერ, პირადი ვიზიტების მეშვეობით. თავდაპირველად, ამ კომუნიკაცია რბილი ფორმა ჰქონდა, თუმცა თანდათანობით უფრო მომთხოვნ ტონში გადადიოდა. ამომრჩევლებამდე მიტანილი მთავარი გზავნილი იყო, რომ მათ მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში.

ჟურნალისტურმა გამოძიებებმა ცხადყო, თუ როგორ ავალებდა „ქართული ოცნება“ საჯარო მოხელეებს, შეედგინათ ოჯახის იმ წევრთა სიები, რომლებიც პარტიისთვის ხმის მიცემას აპირებდნენ. [44] ინსტრუქციების თანახმად, ე.წ. “პასუხისმგებელ პირს” სიაში უნდა შეეყვანა მშობლები, და-ძმა, შვილები, რძლები, სიძეები, ნათლიები, ნათლულები და ყველა, ვინც ახლო მეგობრად ან ნათესავად ითვლებოდა. მეტიც, პასუხისმგებელ პირს ევალებოდა, რომ სიაში შეყვანილი თითოეული ამომრჩეველი უბანზე მიეყვანა, არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. [45]

- **სოციალური და ეკონომიკური მოწყვლადობის ბოროტად გამოყენება.**

„ქართული ოცნების“ მიერ ზეწოლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტაქტიკა იყო ეკონომიკური დამოკიდებულების გამოყენება პოლიტიკური ლოიალობის უზრუნველსაყოფად. [46]

მოქალაქეებს, რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ ისეთ სახელმწიფო დახმარებაზე, როგორიცაა: პენსია, საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამა, სუბსიდიები ან თუნდაც საჯარო სამსახურში დასაქმება, პირდაპირ და ირიბად აფრთხილებდნენ, რომ „ქართული ოცნებისთვის“ ხმის არმიცემის შემთხვევაში, შესაძლოა, ეს დახმარება ან სამსახური დაეკარგათ. [47] ეს მუქარები ხშირად არაფორმალურად ვრცელდებოდა მუნიციპალიტეტის თანამშრომლების, სოციალური სამსახურის შუამავლების ან პარტიასთან დაკავშირებული პირების მეშვეობით. [48]

დაშინებისა და მუქარის ამ ატმოსფერომ ამომრჩევლის პოლიტიკური არჩევანი გადარჩენის ერთადერთ გზად აქცია. შედეგად, სამოქალაქო მონაწილეობა აღარ იყო თავისუფალი, რადგან ის გახდა პირობითი, გარიგებითი და შიშით ნაკარნახევი.

- **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების (ID ბარათების) ჩამორთმევა.**

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირებული კიდევ ერთი ტენდენცია იყო ამომრჩეველთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამორთმევა. ეს იყო თავისუფალი არჩევანის, პიროვნული ავტონომიისა და ხმის მიცემის საიდუმლოების პრინციპების უხეში დარღვევა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ დოკუმენტირებული ინციდენტებიდან ნათლად ჩანს, რომ პირადობის მოწმობების ჩამორთმევა არა იზოლირებული ან შემთხვევითი მოვლენა, არამედ ორგანიზებული და მიზანმიმართული კამპანიის ნაწილი იყო.

მაგალითად, ზუგდიდში ოპოზიციური პარტიების მიმართ სიმპათიის მქონე პირებს აიძულებდნენ პირადობის მოწმობების გადაცემას. “ქართული ოცნება” ამას “ხმების უზრუნველყოფით“ ხსნიდა, თუმცა რეალურად ამომრჩევლის იძულებას და კონტროლს ემსახურებოდა. [49]

რუსთავში, ჟურნალისტების მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა გამოავლინა, რომ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს პირადობის მოწმობები ხელმძღვანელებმა ჩამოართვეს, რომლებიც, სავარაუდოდ, „ქართული ოცნების“ შტაბის დავალებით მოქმედებდნენ. [50] დასუფთავების თანამშრომლებმა იცოდნენ დოკუმენტების გადაცემის შესახებ, ხოლო ჯგუფის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს თავიანთი

მონაწილეობა, რაც პირადობის მოწმობების მასობრივი შეგროვების ინსტიტუციონალიზებულ მეთოდზე მიუთითებს. [51] დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პირადობის მოწმობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მუქარით ჩამოართვეს. [52] არჩევნების წინა ღამეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გომის ადმინისტრაციის თანამშრომელი მივიდა ოთხსულიან ოჯახთან, რომლის წევრებიც შშმ პირები იყვნენ, და ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით მოსთხოვა მათი პირადობის მოწმობების გადაცემა.

9.1.3.

საუბნო სატელეფონო ცენტრების ქსელი

არჩევნების დღეს „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო უბნებთან ახლოს, დაახლოებით 200-400 მეტრის რადიუსში, ქოლცენტრები განათავსა. ჯერ კიდევ შესწავლის საგანია, თუ რატომ იყო საჭირო სატელეფონო ცენტრების საარჩევნო უბნებიდან კონკრეტულ მანძილზე განთავსება, თუმცა არსებობს ეჭვები, რომ ამომრჩეველთა აქტივობა პირდაპირ ეთერში კონტროლდებოდა უბნებში განთავსებული კამერების დახმარებით. [53]

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ეს ცენტრები განკუთვნილი იყო უბანზე მისული ამომრჩევლების აღრიცხვისთვის. ისინი მუშაობდნენ სპეციალური პროგრამით, www.sheavse.ge, რომელიც მხოლოდ გარკვეული IP მისამართებიდან იყო ხელმისაწვდომი. სატელეფონო ცენტრების პერსონალი მოიცავდა:

- **„კაპიტნებს“.**
- **სატელეფონო ცენტრის ოპერატორებს (რომლებიც პროგრამაში მუშაობდნენ).**
- **საკონტაქტო პირებს (სატელეფონო ოპერატორები).**

„ქართული ოცნების“ მიერ დანიშნულ „პასუხისმგებელ პირებს“ ევალებოდათ დაუყოვნებლივ ეცნობებინათ ქოლ-ცენტრში მყოფი საკონტაქტო პირებისთვის იმ ამომრჩევლების შესახებ, რომლებიც მათ უბნებზე მიიყვანეს. „პასუხისმგებელი პირებისგან“ ინფორმაციის მიღების შემდეგ, ქოლ-ცენტრის საკონტაქტო პირები შესაბამის სიაში იწერდნენ ამომრჩეველთა სახელსა და გვარს, ნიშნავდნენ მათ და თითოეული ამომრჩევლის უნიკალურ კოდს პატარა ფურცელზე აღრიცხავდნენ. შემდეგ, ამ ფურცელს გადასცემდნენ პროგრამაზე მიმაგრებულ ქოლ-ცენტრის ოპერატორს. ოპერატორს უნიკალური ნომერი პროგრამის შესაბამის ველში შეჰყავდა, შედეგებს ფილტრავდა და შესაბამის სახელსა და გვარს ნიშნავდა.

„ქართული ოცნების“ შტაბის წარმომადგენლები კატეგორიულად ითხოვდნენ, რომ ქოლცენტრის ყველა თანამშრომელს თავი შეეკავებინა ნებისმიერ ზარზე პასუხისგან, თუ ის არ გაივლიდა სათანადო ავტორიზაციას. ისინი შიშობდნენ, რომ ქოლცენტრების სქემა გამჟღავნდებოდა: „გთხოვთ, გაითვალისწინოთ და არ უპასუხოთ უცხო პირებს, არ მიაწოდოთ ინფორმაცია... ეს პროცესები უკვე დაწყებულია და თქვენ იცით, როგორ ხდება ეს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს ყველაფერი და იყავით ფრთხილად...“ [54]

აუდიოჩანაწერები ასევე ცხადყოფს, რომ „ქართული ოცნება“ ქოლცენტრის თანამშრომლებს ხელფასს ნაღდი ანგარიშსწორებით აძლევდა, საბანკო გადარიცხვების გვერდის ავლით. ეს, შესაძლოა, ხარჯებისა და დაფინანსების წყაროს დამალვის მცდელობაზე მიუთითებდეს. [55]

9.2.

ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები გამოირჩეოდა „ქართული ოცნების“ მიერ ადმინისტრაციული რესურსების ფართომასშტაბიანი და სისტემური გამოყენებით. სახელმწიფოსა და „ქართულ ოცნებას“ შორის ზღვარი, ფაქტობრივად, წაშლილი იყო. „ქართული ოცნების“ ელიტამ მოახდინა სახელმწიფო ინსტიტუტების, სახელმწიფო სახსრებისა და საჯარო მოხელეების მობილიზება საარჩევნო უპირატესობის გასამყარებლად, რამაც პოლიტიკურ ოპონენტებს შორის სრულიად უთანასწორო გარემო შექმნა. ამ ქვეთავში განხილულია ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების ძირითადი მექანიზმები, რამაც გავლენა მოახდინა წინასაარჩევნო გარემოზე.

9.2.1.

საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებული სახელმწიფო პროგრამები.

2024 წლის დასაწყისიდან „ქართულმა ოცნებამ“ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული არაერთი პროგრამა და ინიციატივა წამოიწყო. მათი მიზანი იყო, არჩევნებამდე მოქალაქეებისთვის მატერიალური სარგებლის მიწოდება. ეს პროგრამებისტრატეგიულად იყო დაგეგმილი საარჩევნო ლოიალობის გასამყარებლად და მოიცავდა შემდეგს:

- პენსიების ზრდა ყოფილი სამართალდამცავებისთვის (2023 წლის ნოემბერი); [56]
- საპენსიო სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება პენსიონერებისთვის (2024 წლის თებერვალი); [57]
- საგადასახადო დავალიანებები ჩამოწერა, ე.წ საგადასახადო ამნისტია (2024 წლის აპრილი); [58]
- COVID-19-ის დროს გამოწერილი ჯარიმების ჩამოწერა (2024 წლის ივნისი); [59]
- მასწავლებელთა ხელფასების ზრდა მთელი ქვეყნის მასშტაბით (2024 წლის ივნისი); [60]
- ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამები უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებისთვის (2024 წლის ივლისი);[61]

ეს პროგრამები, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური პოლიტიკის სახელით იყო წარდგენილი, პრაქტიკაში საარჩევნო მობილიზაციის ინსტრუმენტად ფუნქციონირებდა.

9.2.2.

საბიუჯეტო ასიგნებების გამოყენება პოლიტიკური სარგებლისთვის.

2024 წლის ივლისში მთავრობამ გამოსცა განკარგულება დამატებით 20 მილიონი ლარის გამოყოფის შესახებ, ინიციატივის „მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა“ ფარგლებში. [62] ყველა მუნიციპალიტეტმა მიიღო 100,000 ლარი. [63] მიუხედავად იმისა, რომ ეს ინიციატივა მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის მცდელობად იყო შენიღბული, მისი ინიცირების დრო, მასშტაბი და პროგრამების უშინაარსობა ცხადყოფდა, რომ მისი რეალური მიზანი არჩევნებამდე მმართველი პარტიის ადგილობრივი სტრუქტურების გაძლიერება იყო.

9.2.3.

ამნისტიის კანონი, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი.

პოლიტიკური სარგებლის მიღების ერთ-ერთი მაგალითი იყო ამნისტიის შესახებ კანონის მიღება, რომლის საფუძველზეც გათავისუფლდნენ ან სასჯელი შეუმცირდათ გარკვეული კატეგორიის დანაშაულებისთვის ბრალდენულ პირებს.[64] აღნიშნული ამნისტია შეეხო 4,839 პატიმარს, მათგან 1,000 დაუყოვნებლივ გათავისუფლდა, ხოლო დაახლოებით 7,000 პრობაციონერს პირობითი მსჯავრი ერთწლიანი ვადით შეუმცირდა.[65] მიუხედავად იმისა, რომ ინიციატივა წარმოდგენილი იყო როგორც ჰუმანური აქტი, მისი მიღების დრო, გამოყენების მასშტაბი და შერჩევითობა მიუთითებს, რომ “ქართულმა ოცნებამ” ის წინასაარჩევნო გარემოში პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად გააკეთა, კერძოდ, მადლიერების გრძნობის გენერირებისა და შესაბამისი საარჩევნო მხარდაჭერის მობილიზების მიზნით.

9.2.4.

ღონისძიებების პოლიტიზება და საჯარო სამსახურის თანამშრომელთა გამოყენება.

წინასაარჩევნო პერიოდში, „ქართულმა ოცნებამ“ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების პოლიტიზირებისა და საჯარო სექტორის თანამშრომლების საარჩევნო მიზნებისთვის მობილიზების სისტემატური სტრატეგია გამოიყენა. „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი კანდიდატები რეგულარულად მონაწილეობდნენ სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ საჯარო ღონისძიებებში.[66] ინფრასტრუქტურულის პროექტების გახსნა/პრეზენტაცია, ჯილდოების დარიგება და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სხვადასხვა შეკრებები გამოყენებული იყო იმისათვის, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატები უკეთ წარმოჩენილიყვნენ. ეს ღონისძიებები, რომლებიც ფორმალურად ნეიტრალურ სამთავრობო აქტივობებად იყო წარმოდგენილი,

ამავდროულად, „ქართული ოცნება“ ახდენდა საჯარო სექტორის თანამშრომელთა ფართომასშტაბიან მობილიზაციას, რათა საარჩევნო ღონისძიებებზე მასობრივი მხარდაჭერის ილუზია შეექმნა. [67] საჯარო სკოლების, საბავშვო ბაღების, მუნიციპალური ორგანოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლებს ეძლეოდათ მითითება, დასწრებოდნენ „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ მიტინგებსა და შეხვედრებს. [68] ეს მობილიზაციები ხშირად სამუშაო საათებში ხდებოდა, ხოლო ტრანსპორტირებისა და დასწრების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო რესურსები გამოიყენებოდა. დასწრება არ იყო ნებაყოფლობითი; ის ხშირად ორგანიზებული იყო ინსტიტუციური იერარქიების მიერ, რაც ზეწოლის ფორმას იღებდა იმ თანამშრომლებისთვის, რომელთა დასაქმება საჯარო სექტორზე იყო დამოკიდებული. [69]

სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მართული ოფიციალური სოციალური მედიის გვერდები გამოიყენებოდა მმართველი პარტიისთვის ხელსაყრელი შინაარსის გასავრცელებლად, რაც არღვევდა საჯარო უწყებებში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს. [70] მიუხედავად იმისა, რომ ეს ქმედებები

აშკარად ეწინააღმდეგებოდა დადგენილ საარჩევნო სტანდარტებს, საარჩევნო ადმინისტრაციამ დოკუმენტირებულ საჩივრებზე, მათ შორის „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISFED) განცხადებებზე, შესაბამისი რეაგირება არ მოახდინა. არ ჩატარებულა სრულყოფილი გამოძიება, ხოლო გამოვლენილი დარღვევები, ფაქტობრივად, რეაგირების გარეშე რჩებოდა, რაც არღვევდა როგორც შიდა სამართლებრივ, ისე საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც საარჩევნო პროცესში სახელმწიფო რესურსების მიუკერძოებლად გამოყენებას ითხოვს. [71]

9.3.

საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეექმნათ ხმის მიცემის უფლების რეალიზების პროცესში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო), რომელიც პასუხისმგებელია საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების შექმნაზე, ვერ უზრუნველყო საარჩევნო პროცესზე სრულყოფილი წვდომა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საზღვარგარეთ საარჩევნო უბნები უნდა მოეწყოს მინიმუმ 50 და მაქსიმუმ 3,000 რეგისტრირებული ამომრჩევლის არსებობის შემთხვევაში. ისტორიულად, ცესკო მსგავს უბნებს დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებში ხსნიდა. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ცესკომ 42 ქვეყნის 53 ქალაქში 67 საარჩევნო უბნის გახსნა დაუშვა [72] , რაც, უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივად აღემატებოდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს გახსნილ უბნებს.[73] 2024 წლის არჩევნებისთვის, საზღვარგარეთ ხმის მისაცემად, სპეციალურ ამომრჩეველთა სიაში 95,910 პირი იყო რეგისტრირებული, თუმცა ამ პროცესს არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი ახლდა. [74]

საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დიდმა ნაწილმა მოითხოვა დამატებითი საარჩევნო უბნების გახსნა იმ ქალაქებში, სადაც არ ფუნქციონირებდა დიპლომატიური წარმომადგენლობა.[75] ადგილობრივი დიასპორის სიდიდე აშკარად მიუთითებდა ამგვარი საჭიროების არსებობაზე. ეს მოთხოვნები სათანადოდ იყო გამყარებული საკონსულო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით, მაგრამ ცესკოს თავმჯდომარემ ისინი არ დააკმაყოფილა. აღნიშნული გადაწყვეტილების სამართლებრივი გზით გასაჩივრების მცდელობებიც უშედეგოდ დასრულდა. ISFED-ის მიერ წარდგენილი საჩივრები, სადაც საარჩევნო უბნების რაოდენობის გაზრდას ითხოვდნენ, ცესკომ არ დააკმაყოფილა. [76]

ამ მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ არც ცენტრალური საარჩევნო კომისიის და არც საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტული არ ყოფილა საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების საარჩევნო უფლებების რეალიზების ხელშეწყობა. მართალია, მათი მიდგომა ფორმალურად შეესაბამებოდა ძირითად სამართლებრივ მოთხოვნებს, თუმცა რეალურად ვერ პასუხობდა საყოველთაო საარჩევნო უფლების ფართო და არსებით პრინციპს. საზღვარგარეთ მცხოვრები მრავალი მოქალაქე პრაქტიკულად მოკლებული აღმოჩნდა არჩევნებში მონაწილეობისა და საკუთარი ნების გამოხატვის შესაძლებლობას.

გარდა ამისა, ხმის მიცემის უფლება არ მიეცა საზღვარგარეთ მცხოვრებ იმ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ საკონსულო დაწესებულებებში. იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისინი ამოირიცხნენ ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან, რითაც მათ პირდაპირ ჩამოერთვათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. [77]

აღნიშნული ხარვეზები ხაზს უსვამს არსებით სხვაობას საარჩევნო პროცესის ფორმალურ ადმინისტრაციულ მიდგომასა და ინკლუზიური, დემოკრატიული არჩევნების უზრუნველსაყოფად საჭირო ფუნდამენტურ გარანტიებს შორის. როგორც შემდგომ საარჩევნო დღის ანალიზშია დოკუმენტირებული, საზღვარგარეთ ხმის მიცემისთვის განკუთვნილი არასაკმარისი ინფრასტრუქტურა საქართველოს ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ხმის უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახდა.

9.4.

არასამთავრობო ორგანიზაციების დევნა ანტიკორუფციული ბიუროს მიერ

არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, სანამ არასამთავრობო ორგანიზაციები საარჩევნო სადამკვირვებლო მისიებისთვის ემზადებოდნენ, საქართველოს ანტიკორუფციულმა ბიურომ (ACB) დაიწყო საქმის წარმოება საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე დიდი არასამთავრობო ორგანიზაციის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ (TIG), მისი თანამშრომლებისა და დამფუძნებლების წინააღმდეგ. ანტიკორუფციულმა ბიურომ ისინი „საარჩევნო მიზნის“ მქონე სუბიექტებად გამოაცხადა. [78]

კანონმდებლობის შესაბამისად, ანტიკორუფციულ ბიუროს ეკისრება იმ პოლიტიკური პარტიებისა და ფიზიკური პირების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი, რომლებაც აქვთ გაცხადებული საარჩევნო მიზანი, ანუ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების სწრაფვა, არჩევნებში მონაწილეობის გზით. [79]

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ შემთხვევაში, ანტიკორუფციული ბიურო სრულიად გასცდა კანონით განსაზღვრულ ფარგლებს. მან განაცხადა, რომ “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” და მის დირექტორს „გაცხადებული საარჩევნო მიზნები“ ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციასა და მის ხელმძღვანელს არასოდეს, არანაირი ფორმით არ გამოუთქვამთ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი. არ ყოფილა არცერთი საჯარო განცხადება, საარჩევნო კამპანიის აქტივობა და არჩევნებზე გავლენის მოხდენის რაიმე მცდელობა, რაც ასეთ მიზანს გაამართლებდა ან კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებდა.

ეუთო/ოდირმა საკითხი შეაფასა, როგორც მესამე მხარის მიერ არჩევნების შესახებ წარმოებული საინფორმაციო კამპანიის მარეგულირებელი დებულებების დარღვევა, რამაც გამოხატვის თავისუფლებას საფრთხე შეუქმნა.[80] ადგილობრივი[81] და საერთაშორისო პარტნიორების[82] მწვავე კრიტიკისა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადების[83] შემდეგ, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილების გამო ვერ შეძლებდა არჩევნებზე დაკვირვებას, პრემიერ-მინისტრმა 1 ოქტომბერს მოუწოდა უწყების ხელმძღვანელს, გადაეხედა ამ გადაწყვეტილებისთვის და თავი შეეკავებინა მსგავსი სტატუსების მინიჭებისგან წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში. [84] ანტიკორუფციულმა ბიურომ მეორე დღესვე გააუქმა მისი გადაწყვეტილება „ეროვნული ინტერესების“ მოტივით. [85]

10
არჩევნების დღე

2024 წლის 26 ოქტომბერს, ამომრჩევლები საარჩევნო უბნებზე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მოლოდინით მივიდნენ. თუმცა, ადგილზე ნანახმა რეალობამ მათ იმედებს ღრმა ბზარები გაუჩინა. ის, რაც უნდა ყოფილიყო დემოკრატიული პროცესი, არსებითად სახეცვლილი აღმოჩნდა.

10.1.

ხმის ფარულობის და ნების თავისუფლების მასშტაბური დარღვევა

არჩევნების დღეს განვითარებული მოვლენები არ იყო მხოლოდ ტექნიკური ხარვეზი, არამედ ეს იყო ხმის საიდუმლოების ყველაზე მასშტაბური დარღვევა საქართველოს დემოკრატიულ ისტორიაში. ამ დარღვევებმა პირდაპირ შელახა ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი, რადგან ბიულეტენებზე მელნის გაჟონვა, საარჩევნო უბნებზე

10.1.1.

გაჟონილი ბიულეტენები

არჩევნების დღეს, საარჩევნო უბანზე მიცემული ხმა საჯარო სანახაობას დაემსგავსა. ასიათასობით ამომრჩეველმა გაუცნობიერებლად გაამხილა საკუთარი არჩევანი, რასაც სისტემური ხასიათი ჰქონდა. ყველა - 2,263 უბანზე, სადაც ელექტრონული ტექნოლოგიებით მიმდინარეობდა ხმის მიცემა, დაირღვა დემოკრატიული არჩევნების ყველაზე ფუნდამენტური პირობა, ხმის ფარულობა.

პრობლემა შემდეგში მდგომარეობდა: გაფერადებული საარჩევნო ბიულეტენის უკანა მხარეს მარკერის კვალი ჩანდა, რის გამოც ამომრჩეველთან ახლოს მყოფ ნებისმიერ პირს შეეძლო დაენახა, თუ ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა. მეორეხარისხოვანია პრობლემის სათავე, ფურცლის სისქე თუ მარკერის მელნის კონსისტენცია, შედეგი ერთი იყო - ბიულეტენის საარჩევნო ყუთში შეცურებისას ირღვეოდა ხმის ფარულობა. "ძალიან გასაგები იყო ვინ ვის აძლევდა ხმას, გამოჟონილი მელანი ჩანდა. ერთი ათჯერ ვთქვი, რომხალხო, არ არი დაცული ფარულობა, ჩანს, მაგრამ არცერთი ხმა არ გააუქმეს. ყველა დავინახე, ვინ ვის მისცა ხმა" - განაცხადა ბათუმის საარჩევნო უბნის ერთ-ერთმა დამკვირვებელმა.

ამომრჩევლებს ასევე ეგონათ, რომ პრობლემა მათში იყო, რადგან ფიქრობდნენ, რომ ზედმეტად ძლიერად დააჭირეს ბიულეტენებს ან მარკერი აღმოჩნდა გაუმართავი. [86] სინამდვილეში, ეს გამოწვევა სისტემური ხასიათის იყო და საარჩევნო მასალების დიზაინსა და ხარისხში მდგომარეობდა. ყველა შემთხვევაში ეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა იყო, რადგან მან ვერ აღკვეთა არჩევნებამდე უკვე ცნობილი რისკი.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" (GYLA) ბიულეტენების გაჟონვის საკითხი არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) მიერ ჩატარებული ტრენინგის დროს წამოჭრა. 28 სექტემბერს, GYLA-ს მიერ ოფიციალური მიმართვის შემდეგ, ცესკომ ასეთი პასუხი გასცა: [87] "[სასწავლო-საინფორმაციო] შეხვედრებზე გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენი არის სატესტო ვერსია და შესაბამისად, კენჭისყრის დღეს გამოყენებული ბიულეტენის ხარისხი იქნება განსხვავებული, რაც უზრუნველყოფს ფარულობის დაცვას".

ფაქტია, რომ ცესკომ დაპირება არ შეასრულა. მეტიც, არჩევნების შემდეგ, თეთრიწყაროს მოსამართლის, ვლადიმერ ხუჭუას მიერ ჩატარებული სასამართლო ექსპერიმენტის დროს, ცესკოს წარმომადგენელი შეეცადა, აპარატში ბიულეტენების შეცურების სტანდარტული პროცედურა დაემახინჯებინა, რათა დაემალა გაჟონილი ბიულეტენის კვალი. [88]

არჩევნებიდან ექვსი თვის შემდეგ, 29 აპრილს, ცესკომ განაცხადა, რომ ხმის მთვლელ აპარატზე ბიულეტენისთვის განკუთვნილ ჭრილზე დამცავ საფარს დაამონტაჟებს, რათა ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის გამჟღავნება აღარ მოხდეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაბიჯი ეუთო/ოდირის რეკომენდაციებზე დაფუძნებულ ტექნიკურ კორექტირებად იყო წარმოდგენილი, იგი, ფაქტობრივად, წარმოადგენდა აღიარებას, რომ არჩევნების დღეს ხმის ფარულობა არ იყო დაცული. [89]

10.1.2.

ამომრჩევლის ნების კონტროლი

საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებულმა დარღვევების მრავალფეროვნებამ ცხადყო სისტემური ხარვეზები, რომლებმაც სრულად შეარყია ხმის მიცემის პროცესის მიმართ ნდობა.

კოალიცია „ჩემი ხმის" მონაცემებით, ხმის ფარულობის დარღვევა დაფიქსირდა 1,200 საარჩევნო უბნიდან 365-ში. ეს მოიცავდა ამომრჩეველთა კაბინებში გაყოლას, პარტიის წარმომადგენლების ან საარჩევნო მოხელეების მიერ ხმის მიცემის პროცესზე კონტროლს და კამერების ისეთ განლაგებას, რომელიც ბიულეტენებზე გაკეთებულ არჩევანს ხილულს ხდიდა. [90]

ბათუმის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე დამკვირვებელმა გაიხსენა, რომ საჩივრების დაფიქრისებით შეეცადა შეემცირებინა დარღვევების სიმრავლე, თუმცა, მისი აზრით, არჩევნების შედეგები წინასწარ იყო განსაზღვრული: „საარჩევნო კაბინის მახლობლად, მის უკან იდგა სკამი, რომელსაც „ოცნების პარტიის" წარმომადგენელი იკავებდა. ის აკონტროლებდა კაბინას და ზოგჯერ ამომრჩევლებს ფოტოებს უღებდა. იყო შემთხვევა, როდესაც ის მოხუცთან ერთად შევიდა საარჩევნო უბანზე, და მოგვიანებით, როდესაც ამ ადამიანმა ხმა მისცა, მან უთხრა, რომ ის შეასრულა, რაც დაავალა. მე ასევე შევესწარი, როგორ გავიდა ეს კაცი „ქართული ოცნების" წარმომადგენელთან შესახვედრად, რომლებმაც ამომრჩეველი მოიყვანეს უბნამდე, და მერე ამ კაცმა შიგნით უბანზე შემოაცილა."

მარნეულის რეგიონში, სადაც საარჩევნო რეგულაციების მძიმე დარღვევები დაფიქსირდა, გამოკითხულმა დამკვირვებელმა გაიხსენა, რომ საარჩევნო უბანზე ქართულ ოცნებას სრული კონტროლი ჰქონდა: „ყველას ბიულეტენი მოწმდებოდა და კონტროლდებოდა, იმ მოტივით, რომ ამომრჩევლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ან მოხუცები იყვნენ."

ამომრჩეველთა ნების კონტროლის ეპიზოდები დააფიქსირა ასევე ISFED-მა. ზოგიერთ შემთხვევაში, რეგისტრატორები ამომრჩევლებს კონკრეტული პარტიის შემოხაზვას ავალებდნენ. ასევე, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები ამომრჩევლებს მოუწოდებდნენ, ხმა მიეცათ მათთვის სასურველი პოლიტიკური პარტიისთვის. რამდენიმე უბანზე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ბიულეტენზე, კონკრეტული პარტიისთვის ხმის მისაცემად ნიშანი იყო დასმული. გარდა ამისა, ნებაყოფლობით თუ ზეწოლის ქვეშ, ამომრჩევლები საკუთარ ბიულეტენებს ფოტოებს ან ვიდეოებს უღებდნენ. კომისიის წევრები, ხმის დათვლის აპარატში ამომრჩევლის ბიულეტენის მოსათავსებლად დახმარებისას ბიულეტენს იღებდნენ სპეციალური ჩარჩო კონვერტიდან და ხედავდნენ, თუ ვის მისცა ამომრჩეველმა ხმა. რიგ შემთხვევებში, ამომრჩევლები ღიად აფიქსირებდნენ თუ ვის მისცეს ხმა, თუმცა ამის საპასუხოდ კომისიისგან გაფრთხილებებს არ იღებდნენ... [91]

10.1.3.

არაუფლებამოსილი და უცნობი პირების ყოფნა უბანთან და მის სიახლოვეს

არაუფლებამოსილი და უცნობი პირების ყოფნამ, როგორც საარჩევნო უბნებთან, ისე შიდა პერიმეტრზე, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ზეწოლის ატმოსფეროს ჩამოყალიბებაში. აღნიშნული პირები დაკავშირებული იყვნენ „ქართული ოცნების" მიერ მართულ ქოლ-ცენტრებთან (იხ. ქვეთავი 9.1.3) და ასრულებდნენ ერთმანეთისგან განსხვავებულ ფუნქციებს. ნაწილი მოქმედებდა როგორც „პასუხისმგებელი პირი", ნაწილს ევალებოდა ამომრჩეველთა აღრიცხვა პროფილირების ქსელის სიის მიხედვით (იხ. ქვეთავი 9.1.1). სხვები მონაწილეობდნენ ე.წ. "კარუსელში" ან ამომრჩევლებს მიაცილებდნენ საარჩევნო უბნამდე. ზოგიერთის ამოცანა იყო მტრული და დამაშინებელი გარემოს შექმნა როგორც უბნის შიგნით, ისე მის გარე პერიმეტრზე.

ტელეკომპანია „TV პირველის" ჟურნალისტების მიერ მოპოვებული აუდიოჩანაწერებიდან ირკვევა, რომ „ქართული ოცნების" ცენტრალური ოფისი შეშფოთებული იყო უბანზე მიყვანილი ამომრჩევლების რაოდენობით. ისინი მოითხოვდნენ დროულ რეაგირებას, რათა არ დაშვებულიყო შეცდომები და სტრატეგიის აღსრულება შეუფერხებლად გაგრძელებულიყო: „პასუხისმგებელი პირებსგან ინფორმაციის მოწოდება გვაქვს შენელებული... დაურეკეთ ყველა პასუხისმგებელ პირს და უთხარი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია თავიანთი სიიდან ადამიანების მიყვანისშესახებ ინფორმაცია მოგვაწოდონ... ვართ ძალიან ბრმად, დაახლოებით 30%-იანი ჩამორჩენა გვაქვს... **ამ ინფორმაციის გარეშე შეიძლება შეცდომა დავუშვათ, რეაგირება დავაგვიანოთ და დავიღუპოთ".** [92]

ISFED-ის მიერ გამოვლინდა საეჭვო პირთა შეკრებები საარჩევნო უბნების 38%-ზე, ამომრჩეველთა რეგისტრაცია კოორდინატორების მიერ უბნების 31%-ზე, ხოლო ამომრჩეველთა ორგანიზებული ტრანსპორტირება დაფიქსირდა უბნების 19%-ზე. [93]

კოალიცია „ჩემი ხმა" სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ პირების ძირითადი ფუნქცია იყო:

- **ამომრჩევლეთა მობილიზება.**
- **ამომრჩეველთა მიცილება საარჩევნო უბნის კარამდე ან შიგნით შეყოლა, მათი ზედამხედველობის მიზნით.**
- **ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის ინტრუქციის მიცემა, ნათესაობის ან თითქოს დახმარების საბაბით.**
- **„ქართული ოცნების" ქოლ-ცენტრთან კოორდინირებულად მოქმედება და ხშირი კომუნიკაცია უბნის სიახლოვეს მანქანებში მყოფ პირებთან.**
- **თანამშრომლობა ფიქტიური აღვილობრივი საადამკვირვებლო მისიების წარმომადგენლებთან.**

დამკვირვებლების განცხადებით, ეს პირები სარგებლობდნენ გარკვეული სახის იმუნიტეტით და თავისუფლად გადაადგილდებოდნენ როგორც საარჩევნო უბნების შიდა, ისე გარე პერიმეტრზე, საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე. ერთ-ერთი დამკვირვებლის განცხადებით: „ეს პირები ჩემს უბანზე ჟურნალისტს კინაღამ ფიზიკურად გაუსწორდნენ. ცოტა მოშორებით, გუბერნატორის ცოლი და მისი მეგობრები მინივენში ისხდნენ, სიებით ხელში, და ამომრჩეველთა ნაკადს აკონტროლებდნენ... დღის ბოლოს, უფრო მეტი ხალხი შეგროვდა, რის გამოც უკიდურესად დავისტრესე."

გორის საარჩევნო უბნის დამკვირვებლის თქმით, მან დააფიქსირა პირები, რომლებსაც ხელში ეჭირათ კოდირებული სიები უნიკალური ნომრებით. ეს ის კოდები იყო, რომელიც ქოლ-ცენტრის ოპერატორებს ამომრჩეველთა აქტივობაზე თვალყურის დევნებისთვის შეჰყავდათ სპეციალურ პროგრამაში: "ქართული ოცნების ორი პარტიული წარმომადგენელი იდგა და ეხმარებოდა ამომრჩევლებს ბიულეტენების მოთავსებაში. ამავე ადამიანებს ხელში ეჭირათ სია, აკეთებდნენ მონიშვნებს. რომ ავტეხე ერთი ამბავი და ვუთხარი მაჩვენეთქო, იყო სია სპეციალური კოდებით, ანუ კოდერებული სია."

10.2.

თანამედროვე საარჩევნო „კარუსელი"

ე.წ. „საარჩევნო კარუსელი" - ავტორიტარული წარსულის აჩრდილი, საპარლამენტო არჩევნებზე, განახლებული ვერსიით დაბრუნდა. „ქართულმა ოცნებამ" სახელმწიფო რესურსების მობილიზებითა და პროცესის კოორდინირებული მართვით მიზანმიმართულად გააუქმა მრავალჯერადი ხმის მიცემის აღსაკვეთად დანერგილი ყველა დამცავი მექანიზმი. ეს იყო ოთხსაფეხურიანი გაყალბების სქემა, რამაც საარჩევნო მთლიანობის უზრუნველსაყოფად შექმნილი საკონტროლო მექანიზმები უკანონო ბიულეტენების გატარების იარაღად აქცია. სქემა მუშაობდა შემდეგნაირად:

ნაბიჯი 1:

ლია კარი

„კარუსელი" საარჩევნო უბნის შესასვლელთან იწყებოდა, კერძოდ, მარკირებისშემოწმების პროცედურის დარღვევით.

ნაკადის მომწესრიგებლები არ ამოწმებდნენ ამომრჩეველთა ხელზე მარკირების კვალს; ცალკეულ შემთხვევებში შემოწმება ზედაპირული იყო ან საერთოდ არ ხდებოდა. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ამომრჩევლები აცხადებდნენ, რომ მარკირების კვალი მანდარინის მოხმარების შედეგი იყო. ეს ახსნა-განმარტება საკმარისად მიიჩნეოდა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რათა აღნიშნული პირებისთვის ხმის მიცემის უფლება მიეცათ. ასევე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც „ქართული ოცნების" მხარდამჭერებს, რომლებიც საარჩევნო უბანზე მიკროავტობუსით მიიყვანეს, აღენიშნებოდათ მარკირების კვალი. საარჩევნო ადმინისტრაციაზე განხორციელებული ზეწოლის შემდეგ, მარკირების აშკარა კვალის მიუხედავად, ზოგიერთ მათგანს მიეცა უფლება, მონაწილეობა მიეღო კენჭისყრაში.

ტექნიკური გაუმართაობაც დარღვევების ხელშემწყობ ფაქტორად იქცა. მარკირების ამომცნობი ულტრაიისფერი ნათურები ან არ მუშაობდა, ან სუსტად ანათებდა, ან შუადღისას სრულიად გამოდიოდა მწყობრიდან. დამკვირვებლებმა ასევე განაცხადეს, რომ მარკირები კვალი რამდენიმე საათში საერთოდ არ ჩანდა, რის გამოც, შემოწმება აზრს კარგავდა. [94] მარნეულის ერთ-ერთი საარჩევნო უბნის დამკვირვებელმა გაიხსენა: "მარკირების პროცედურა იყო სრულიად მორღვეული და როცა ამაზე შენიშვნა მივეცი, მითხრეს, რომ იქ ყველა ერთმანეთს იცნობდა და ენდობოდა."

ნაბიჯი 2:

ყალბი პირადობები

მარკირების შემოწმების წესის დარღვევის შემდეგ, გაყალბების მეორე საფეხური იწყებოდა რეგისტრატორის მაგიდასთან, სადაც არაჯეროვანი შემოწმებების გამო, გამყალბებლები ახერხებდნენ ვერიფიკაციის გავლას სხვისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პირადი საიდენტიფიკაციო ნომრების გამოყენებით.

ეს ხდებოდა შემდეგი მანიპულაციური გზით:

- **სხვისი პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი ქალაღდზე იყო დაწერილი და პასპორტში მოთავსებული.** [95]
- **პირადობის მოწმობაზე სხვა პირის საიდენტიფიკაციო ნომერი იყო მიმაგრებული.** [96]
- **პირადობის მოწმობის ფოტო რეგისტრატორს ტელეფონის საშუალებით წარედგინებოდა.** [97]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სხვისი პირადობის მოწმობებით ხმის მიცემის რამდენიმე მცდელობა დააფიქსირა. მაგალითად, ერთ შემთხვევაში, მამამ შვილის პირადობის მოწმობა გამოიყენა, მეორეში კი მამაკაცმა მეუღლის მოწმობით სცადა ხმის მიცემა. გარდა ამისა, გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც მამაკაცმა ქალის პირადობის მოწმობა გამოიყენა ხმის მისაცემად. სხვისი პირადობის მოწმობების გამოყენებასთან ერთად, ვადაგასული მოწმობების გამოყენების მცდელობებიც გამოვლინდა. [98]

ნაბიჯი 3:

მარკირების ბარიერის დარღვევა

პირველი და მეორე წინაღობის გარღვევის შემდეგ, იყო მარკირების ბრიერი, რომელიც ან არასწორად კეთდებოდა, ან საერთოდ არ ხდებოდა.

გორში მყოფ ერთ-ერთ დამკვირვებელს შელაპარაკება მოუვიდა კომისიის წევრთან, როდესაც შეეცადა რეაგირება მოეხდინა მარკირების არასწორ პროცედურაზე. შეცდომის გამოსწორების ნაცვლად, საარჩევნო კომისიის წევრებმა აგრესიულად უპასუხეს და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს მისი ცოდნა: “შენ რა იცი წესები?! უნდა გაბანაო ამ სითხეში.”

გორის რეგიონიდან კიდევ ერთმა დამკვირვებელმა მიუთითა მარკირების არაეფექტურობაზე: “სითხე დამასხურეს და არანაირი სხვაობა არ იყო. ხშირად არც ასხამდნენ სითხეს და ამაზე როცა მივუთითებდი მეუბნებოდნენ რომ უი, დამავიწყდაო.”

ISFED-მა ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნების 9%-ში დააფიქსირა მარკირების პროცედურების დარღვევები. აღსანიშნავია, რომ ეს იყო პირველი არჩევნები, როდესაც კომისიის წევრები ამომრჩევლებს ეკითხებოდნენ, სურდათ თუ არა მარკირება, რაც სავალდებულო წესიდან აშკარა გადახვევას წარმოადგენდა.

კოალიცია „ჩემმა ხმამ“ 1,200 საარჩევნო უბნიდან 153-ზე დააფიქსირა შემთხვევები, სადაც ამომრჩეველთა მარკირება ან არასწორად, ან ხმის მიცემა მარკირების გარეშე ხდებოდა. გარდა ამისა, GYLA-ს მონაცემებით, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა მარკირებასთან დაკავშირებული დარღვევების რაოდენობა და მასშტაბი მნიშვნელოვნად აღემატებოდა წინა არჩევნებში დაფიქსირებულ მაჩვენებლებს. [99]

ნაბიჯი 4:

ხმის მიცემა და ისევ იგივე წრეზე ნასვლა

ზემოთ ჩამოთვლილი ბარიერების გავლის შემდეგ, კარუსელის მონაწილეები ხმას აძლევდნენ და საარჩევნო უბანს უკვალოდ ტოვებდნენ.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტურმა გამოძიებამ საარჩევნო „კარუსელის“ და „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული თაღლითური სქემის ფაქტები გამოავლინა. ექსპერიმენტის ფარგლებში, მათ ადგილობრივ მოსახლეობას თავი „ქართული ოცნების“ მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებად გააცნეს. რამდენიმე პირმა დაადასტურა ხმის მრავალჯერ მიცემის პროცესში მონაწილეობა. ზოგმა აღიარა, რომ პასპორტები სოფლის გამგებელს ფინანსური კომპენსაციის სანაცვლოდ გადასცეს, ზოგმა კი აღნიშნა, რომ ფულის სანაცვლოდ პასპორტები გაგზავნეს, რათა სხვა პირს შეძლებოდა მათ ნაცვლად სხვა უბანზე ხმის მიცემა. [100]

ტელეკომპანია „მთავარი არხის“ მიერ ჩატარებულმა ჟურნალისტურმა საგამოძიებო ჯგუფმა გამოაქვეყნა მამაკაცის აღიარებითი ინტერვიუ, რომელმაც აღწერა, თუ როგორ მიიღო მან და მისმა თანამზრახველებმა მონაწილეობა კარუსელში „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ: „ჩემს მანქანაში ოთხნი ვიყავით, ყველა კაცი; სულ ხუთი მანქანა იყო. ჩვენ გორში ვიარეთ, ერთი სოფლიდან მეორეში, და „ქართულ ოცნებას“ დაახლოებით 30- ჯერ მივეცით ხმა თითოეულმა. ჯამში, 120 ან 130 ასეთი მანქანა დადიოდა.“ [101]

10.3.

დამკვირვებელთა უფლებების შეზღუდვა, დაშინება და გაძევება საარჩევნო უბნებიდან

2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა დამოუკიდებელი საარჩევნო დამკვირვებლების მიმართ უპრეცედენტო ზეწოლის, დაშინებისა და ხელის შემშლელ გარემოში. ბევრ მათგანს სისტემატურად ეზღუდებოდა მოვალეობების შესრულება, ნაწილმა კი ვერ შეძლო საჩივრების წარდგენა იმ მტრული და მუქარის შემცველი პირობების გამო, რაც საარჩევნო უბნებზე დახვდათ.

კოალიცია „ჩემმა ხმამ“ დამკვირვებელთა უფლებების დარღვევები 160 საარჩევნო უბანზე გამოავლინა. აღნიშნული დარღვევები მოიცავდა სარეგისტრაციო მაგიდებთან საარჩევნო პროცესის დაკვირვების შეზღუდვას, ფოტო ან ვიდეო გადაღების აკრძალვას, საუბნო საარჩევნო კომისიის მოხელეების მიერ საჩივრების მიღებაზე დაუსაბუთებელ უარს, ასევე დამკვირვებელთა დაშინებასა და საარჩევნო უბნებიდან იძულებით გაძევებას.

საარჩევნო უბნებზე არსებული ატმოსფერო დამკვირვებლებისთვის უკიდურესად მტრული და ფსიქოლოგიურად მძიმე აღმოჩნდა. გამოკითხულთა განცხადებით, მათზე განხორციელებულმა მუქარამ, რასაც თან ახლდა ფიზიკური ძალადობის მუდმივი შიში, ნერვული აშლილობა და მძიმე ტრავმული გამოცდილება დაუტოვა.

დამკვირვებელთა დიდი ნაწილი თავს იზოლირებულად გრძნობდა, რადგან სხვა ქალაქებში იმყოფებოდნენ და არ არსებობდა ადეკვატური დაცვის მექანიზმები დაძაბული სიტუაციების დროს. საარჩევნო უბნებთან აგრესიული პირების არსებობამ და უსაფრთხოების ინსტიტუციური მხარდაჭერის ნაკლებობამ დამკვირვებლები აიძულა, რომ კომპრომისზე წასულიყვნენ. ეს განპირობებული იყო მათი მცდელობით, ზეწოლის პირობებშიც კი, მაქსიმალურად შეესრულებინათ სამოქალაქო პასუხისმგებლობა. გორის საარჩევნო უბნის ერთ-ერთმა დამკვირვებელმა აღნიშნა: “ჩემთვის ეს დღე იყო ძალიან სტრესული. უბანზე სახე შემისივდა სტრესისტან და დამემართა პანიკური შეტევა და თვეების განმავლობაში მიჭირდა ამ დღეზე საუბარი, ტირილი მიტყდებოდა... შორს ვიყავი ცენტრიდან და რომ გავეგდეთ, რას მიზამდნენ არც ვიცოდი.”

რამდენიმე დამკვირვებელმა გაიხსენა, რომ კომისიის წევრები აიძულებდნენ ტელეფონით გადაღებული კადრების ჩვენებას. ერთ-ერთი ასეთი ინციდენტი, რასაც ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა, განვითარდა მას შემდეგ, რაც დამკვირვებელმა დააფიქსირა, თუ როგორ გადასცემდნენ ამომრჩევლები ბიულეტენებს უშუალოდ კომისიის წევრებს, ხმის მიცემის და გაფერადებული არჩევანის დადასტურების მიზნით:

“როცა დაინახეს, რომ ვიღებდი, მომვარდნენ კომისიის წევრები და ჩვენ შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლა დაიწყო. ტელეფონის წართმევა უნდოდათ. ერთადერთი, რაც მოვასწარი იყო ვიდეოს გადაგზავნა.. რომ დამემშვიდებინა ისინი, ვაჩვენე, რომ ვითომ წავშალე.”

აღსანიშნავია, რომ ქალ დამკვირვებლებს განსაკუთრებულად დამამცირებელ და სექსისტურ გარემოში მოუწიათ მუშაობა. მათ მიმართ ხშირად ისმოდა მიზოგენური კომენტარები, დაცინვა და სქესის ნიშნით მუქარა. ქალ დამკვირვებლებს შემდეგი ფორმით მიმართავდნენ: „რას გავხარ?“, „რატომ ლაპარაკობ ამდენს? ქალის სახე არ დაკარგო“, „როგორ იქცევი?“, „ქალურობა არ დაკარგო“. ერთ-ერთი დამკვირვებელი ქალის განცხადებით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა მას ფოტო გადაუღეს, რის გამოც ძალიან შეეშინდა, რადგან გაახსენდა წინასაარჩევნო პერიოდში აქტივისტების მიმართ განხორციელებული თვალთვალის და მუქარის შემთხვევები.

ინტერვიუებში მონაწილე ყველა დამკვირვებლებმა ხაზი გაუსვეს დაუცველობისა და მოწყვლადობის მუდმივ განცდას, რამაც მკვეთრად შეზღუდა მათი შესაძლებლობა, დაეფიქსირებინათ დარღვევები: “მე მარტო ვიყავი პრაქტიკულად და ძალიან მიჭირდა ყველაფრის კონტროლი, იქ სხვებიც უნდა ყოფილიყვნენ ჩემთან ერთად, რეალურად დამოუკიდებელი დამკვირვებლები” - განაცხადა დაკვირვებელმა გორის რეგიონიდან.

10.4.

ქართული დიასპორა ხმის უფლების გარეშე

საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა სერიოზულ გამოწვევად იქცა. მთავარი პრობლემა საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების რაოდენობის მიზანმიმართული შეზღუდვა იყო, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ამომრჩეველთა აქტივობა და ჩართულობა. 1[02]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საზღვარგარეთ მხოლოდ 67 საარჩევნო უბანი გახსნა, რომლებიც 42 ქვეყნის 53 ქალაქში განთავსდა. ემიგრანტების მრავალი მოწოდებების, ასევე ორგანიზაციების, ISFED-ის და „ჩემი ხმის“ სამართლებრივი ბრძოლის მიუხედავად, ცესკო უარს აცხადებდა დამატებითი საარჩევნო უბნების გახსნაზე.

საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების რაოდენობის სიმცირემ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე. ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა საზღვარგარეთის უბნებში პარტიებზე გადანაწილებული ხმების სტატისტიკიდან გამომდინარე, სადაც ოპოზიციურმა პარტიებმა, ერთობლივად, ხმების დაახლოებით 75% მოიპოვეს, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“ დაახლოებით 15%. შედეგების ასეთი მკვეთრი სხვაობით შეიძლება აიხსნას, ის თუ რა მოტივი ამოძრავებდა “ქართულ ოცნებას”, რომ ემიგრანტებისთვის ხმის მიცემის შესაძლებლობები მინიმუმამდე დაეყვანა.

საარჩევნო უბნები ინფრასტრუქტურულად შეუსაბამო და ცუდად ორგანიზებული იყო, რამაც გამოიწვია ქაოსი და გრძელი რიგები. საარჩევნო ადმინისტრაციის რაოდენობა არასაკმარისი აღმოჩნდა ამომრჩეველთა დიდი ნაკადის მომსახურებისთვის. შედეგად, საათობით რიგში მდგომი მოქალაქეები იძულებულნი იყვნენ, ხმის მიცემის გარეშე დაეტოვებინათ უბანი. გარდა ამისა, ბევრმა ამომრჩეველმა აღმოაჩინა, რომ სხვა ქალაქში იყვნენ რეგისტრირებულნი, მიუხედავად იმისა, რომ სწორ მისამართზე გაიარეს რეგისტრაცია.

დამკვირვებლების მიმართ მუქარისა და ძალადობის ინციდენტებიც დაფიქსირდა. ფრანკფურტის ერთ-ერთი საარჩევნო უბნის დამკვირვებელმა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მხრიდან მუქარის ეპიზოდი აღწერა: „ზურაბ კალანდაძე გამოირჩეოდა განსაკუთრებული აგრესიით. ის მაგინებდა უშვერი სიტყვებით და მემუქრებოდა... მოსასვენებელ ოთახში კონიაკიც დალია.”

11

ხმების საღარაჯოზე: ნამდვილი VS ყალბი დამკვირვებლები

11.1.

დამოუკიდებელი ადგილობრივი ორგანიზაციების საადამკვირვებლო მისიები

2024 წლის 26 ოქტომბერს გამართული საპარლამენტო არჩევნები საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური სადამკვირვებლო მისიით იყო წარმოდგენილი. სამი ადგილობრივი სადამკვირვებლო მისია, ISFED-ის, GYLA-ს და 30 არასამთავრობო ორგანიზაციის გაერთაინებით შექმნილი კოალიცია „ჩემი ხმა“ (MyVote), ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ 3500 მდე საარჩევნო უბანს აკვირდებოდა.

ISFED-ის სადამკვირვებლო მისია მოიცავდა დაახლოებით 1000 სტატიკურ დამკვირვებელს საარჩევნო უბნებზე, 85 მობილური ჯგუფს და 231 დამკვირვებელს უბნების პერიმეტრზე. ორგანიზაციამ სრულად დაფარა ყველა საოლქო საარჩევნო კომისია. კოალიცია „ჩემი ხმა“ სტატიკური დამკვირვებლებით წარმოდგენილი იყო 1200-ზე მეტ უბანზე და 133 მობილური ჯგუფით. ასევე, დაახლოებით 150 დამკვირვებელი აკვირდებოდა არჩევნებს საზღვარგარეთ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) 610-მდე სტატიკური და მობილური დამკვირვებელი, სულ 1500-ზე მეტ უბანზე იყო წარმოდგენილი.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა ყველა დამკვირვებელმა სადამკვირვებლო მისიაში ჩართვის უმთავრეს მოტივად მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაასახელა. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს საქართველოსთვის ისტორიულ, გარდამტეხ მომენტად აღიქვამდნენ, რომელსაც ქვეყნის დემოკრატიული მომავლისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა. დემოკრატიული პრინციპების ერთგულებითა და საარჩევნო პროცესში საკუთარი წვლილის შეტანის სურვილით მოტივირებულები, თითოეული მათგანი, საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს. ბათუმის ერთ-ერთმა დამკვირვებელმა აღნიშნა: „მე ვარ ქონთენთ კრეატორი და TikTok-ზე ვაკეთებ ხოლმე მიმოხილვას. არჩევნების დღეს თან წავიღე ჯორჯ ორუელის „1984“ და ჩემს თავს ვუთხარი, რომ როცა უბნიდან გამოვიდოდი, რაც ამ წიგნში წერია არაფერი დამემართებოდა...“.

მაშინ, როცა დამკვირვებლების ნაწილი არჩევნების სამართლიანობასთან დაკავშირებით ფრთხილ ოპტიმიზმს ინარჩუნებდა, სხვები საკუთარ მონაწილეობას ქვეყნის დემოკრატიული კურსის დაცვის გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევდნენ, რომელიც, მათი შეფასებით, რეალური საფრთხის წინაშე იდგა. თბილისის ერთ-ერთმა დამკვირვებელმა გაიხსენა: „საქართველოს პოლიტიკური ვექტორის ცვლილება და ავტოკრატიის ნიშნები უკვე აშკარა იყო, რაც ე.წ. რუსული კანონის მიღებითა და ძალაუფლების კონცენტრაციით დაიწყო. მეშინოდა, რომ საქართველოს მომავალს მომდევნო ოთხ წელიწადში საბოლოოდ გამოეცლებოდა საძირკველი, ამიტომაც გადავწყვიტე, არჩევნების დღეს დამკვირვებელი ვყოფილიყავი“

„რუსული კანონისა“ და მისი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლის ფონზე, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ძლიერი მედეგობა გამოიჩინეს და უკიდურესად რთულ პირობებში შეძლეს სადამკვირვებლო მისიის შესრულება. დამკვირვებლებისთვის ჩატარებული ტრენინგები მოიცავდა როგორც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის სიღრმისეულ ანალიზს, სადაც ნათლად იყო განმარტებული მათი უფლებები, მოვალეობები და შეზღუდვები, ასევე, მოიცავდა წინა არჩევნების დროს გამოვლენილი დარღვევების სცენარებზე დაფუძნებულ პრაქტიკულ სიმულაციებს. დამკვირვებლებისგან მოითხოვებოდა ნეიტრალურობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპების ზედმიწევნით დაცვა. როგორც ერთ-ერთმა მათგანმა ხაზგასმით აღნიშნა: „მე იქ ხელისუფლების დარღვევების გამოსამზეურებლად არ მივსულვარ; ჩემი მიზანი სამართლიანი არჩევნების დაცვა იყო. ლეგიტიმური გზით გამარჯვებული კი, ვინც უნდა ყოფილიყო, მმართველობას ნამდვილად იმსახურებდა“..

11.2.

პოლიტიკურად მოტივირებული საადამკვირვებლო ორგანიზაციები

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე სადამკვირვებლო პროცესის მთლიანობას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა პოლიტიკურად აფილირებული, ე.წ. „ყალბი სადამკვირვებლო“ ორგანიზაციების უპრეცედენტო სიმრავლემ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფენომენი ახალი არ არის, მათი არსებობით გამოწვეულმა პრობლემების მასშტაბმა და საარჩევნო უბნების საქმიანობაში უხეშმა ჩარევამ, ვითარება განსაკუთრებით დაამძიმა. ნეიტრალური დამკვირვებლების ფუნქციის შესრულების ნაცვლად, ეს ორგანიზაციები ხშირად მოქმედებდნენ როგორც „ქართული ოცნების“ პოლიტიკური სტრუქტურების გაგრძელება.

ყალბი დამკვირვებლების რეგისტრაციით, სამოქალაქო მონიტორინგის საფარქვეშ, პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლეს საარჩევნო კომისიებსა და უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთარი ინტერესების გამტარებელი პირების განთავსება. „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული დამკვირვებლები არჩევნების დღეს, განსაკუთრებით საარჩევნო უბნების მახლობლად, ამომრჩეველთა კონტროლსა და მობილიზაციაში მონაწილეობდნენ. ეს პრაქტიკა სრულად შლიდა ზღვარს დაკვირვებასა და პოლიტიკურ წარმომადგენლობას შორის, რამაც ასევე ხელი შეუწყო ძალადობრივი ატმოსფეროს შექმნას და საარჩევნო პროცესისადმი ნდობის დაკარგვას.

ეუთო/ოდირის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული დამკვირვებლები პასიური მონიტორინგით არ იფარგლებოდნენ. ისინი აქტიურად ერეოდნენ საუბნო კომისიების მუშაობაში და ამომრჩევლებსაც აღრიცხავდნენ. ეს პრაქტიკა სრულ წინააღმდეგობაში მოდიოდა მიუკერძოებელი დაკვირვების საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებთან და საფუძვლიან ეჭვებს აჩენდა ამომრჩევლებსა და დამოუკიდებელ დამკვირვებლებზე შესაძლო ზეწოლასთან დაკავშირებით. [103]

პოლიტიკურად აფილირებული დამკვირვებლების მასშტაბი კიდევ უფრო ცხადყოფს პრობლემის სისტემურ ბუნებას. დამკვირვებლების გავრცელებული ინფორმაციით, “ქართულ ოცნებასთან” დაკავშირებული ყველაზე მსხვილი ჯგუფები იყვნენ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“ (2491 დამკვირვებელი), „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვერი“ (2654 დამკვირვებელი) და „საქართველოს ტრენინგისა და განვითარების ინსტიტუტი“ (1364 დამკვირვებელი). ამავდროულად, სხვა მსხვილი წარმომადგენლობის მქონე ორგანიზაციები, როგორებიცაა „თავისუფალი ხმა“ (1610 დამკვირვებელი) და „მონიტორინგის ცენტრი - საზოგადოება“ (1038 დამკვირვებელი), სავარაუდოდ, ოპოზიციურ პარტიებთან იყვნენ აფილირებული.[104] მიუხედავად აღნიშნული ჯგუფების შთამბეჭდავი რაოდენობისა, მათ არ წარმოუდგენიათ არცერთი საჯარო დასკვნა ან ანალიტიკური ანგარიში საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვები მათი ლეგიტიმურობის თაობაზე და განამტკიცა მოსაზრება მათი საქმიანობის წმინდა პოლიტიკური მოტივების შესახებ.

ერთ-ერთმა დამკვირვებელმა, რომელიც არჩევნების დღეს მარნეულში იმყოფებოდა, ყალბ დამკვირვებელთან დაკავშირებით ასეთი ინციდენტი გაიხსენა: „საკმაოდ კურიოზული სიტუაცია იყო. შორიდანვე შევამჩნიე ერთი მამაკაცი, რომელიც საეჭვოდ აქტიურობდა და სამკერდე ნიშანზე „სამოქალაქო ტოლერანტობა“ თუ რაღაც მსგავსი ეწერა... რადგან იმ უბანზე, სადაც მე ვიყავი, ბევრი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო, მასთან მივედი და რუსულად ვკითხე, რომელ ორგანიზაციას წარმოადგენდა. დაუფიქრებლად მიპასუხა: „Да, да, 41, 41“, — და მმართველი პარტიის საარჩევნო ნომერზე მიმითითა. უეცრად გააცნობიერა, რა შეცდომა დაუშვა და გაიქცა“.

გარდაბნის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე მყოფმა დამკვირვებელმა, ე.წ. „გონგო“-ების (GONGOs) წარმომადგენლების არსებობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მათი რეალური ფუნქცია ამომრჩეველთა მობილიზება, არაფორმალური აღრიცხვა და უბანზე საარჩევნო კამპანია იყო: „ჩემს უბანზე სოფლის გამგებელი დამკვირვებლად იყო დარეგისტრირებული, სამკერდე ნიშნზე, თუ არ ვცდები, „სამართლის ობზერვერი“ ეწერა. მასთან ერთად კიდევ რამდენიმე პირი იმყოფებოდა სხვადასხვა ორგანიზაციის სახელით, მაგრამ, როგორც გაირკვა, ისინი მისი შვილები იყვნენ. მათგან აშკარა საფრთხეს ვგრძნობდი, რადგან ყველა დარღვევას დეტალურად ვაფიქსირებდი და ვიდეოზე ვიღებდი. ეს გამგებელი და მისი ჯგუფი ღიად ეწეოდნენ სოფლებიდან ხალხის მობილიზებას“.

11.3.

ყალბი საერთაშორისო დამკვირვებლები „ქართული ოცნების“ გამარჯვების ლეგიტიმაციისთვის

2024 წლის ოქტომბრის არჩევნების დროს არჩევნების მანიპულირება ხდებოდა არა მხოლოდ შიდა აქტორების, არამედ პოლიტიკურად მიკერძოებული, ე.წ. „ყალბი საერთაშორისო დამკვირვებლების“ მეშვეობითაც. მათი მისია იყო, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო საზოგადოების თვალში „ქართული ოცნების“ მიერ ჩადენილი საარჩევნო დარღვევებისთვის ლეგიტიმაცია მიეცათ.

„ატლანტიკური საბჭოს ციფრული კრიმინალისტური კვლევის ლაბორატორიის“ (DFRLab) და „დემოკრატიული არჩევნების ევროპული პლატფორმის“ (EPDE) მიერ ჩატარებულმა ერთობლივმა კვლევამ 23 ასეთი პირი გამოავლინა. აღსანიშნავია, რომ მათი უმეტესობა მანამდეც მონაწილეობდა რუსეთში, ბელარუსსა და ოკუპირებულ უკრაინაში ჩატარებულ სადამკვირვებლო მისიებში. სწორედ ეს პირები იყვნენ აკრედიტებულნი საქართველოში არჩევნების დამკვირვებლებად. [105] მათი საჯარო განცხადებებით, საარჩევნო პროცესი „გამჭვირვალედ“, „სამართლიანად“ და „ევროპულად“ შეფასდა. „ქართულმა ოცნებამ“ მათი ეს შეფასებები კრიტიკის გასანეიტრალებლად და საკუთარი პოზიციების გასამყარებლად გამოიყენა.

12

უარყოფილი მართლმსაჯულება: საარჩევნო დარღვევების გამოძიებისა და გამოსწორების სისტემური ჩავარდნა

საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ერთ-ერთი უმთავრესი სისუსტე იყო საარჩევნო და სასამართლო ინსტიტუტების მიერ საჩივრების შინაარსობრივი განხილვისგან თავის არიდება. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების შემდგომი პერიოდი საჩივრების მჭიდრო ვადებში განხილვას მოითხოვდა, ეს პროცედურული სიჩქარე იქცა არა დროული და შინაარსიანი გადაწყვეტილების მიღების, არამედ საჩივრების ზედაპირულად განხილვისა და უარყოფის საფუძვლად.

ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიებში სულ 1436 საჩივარი შევიდა, რომლებიც საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე გამოვლენილ დარღვევებს შეეხებოდა. [106] საჩივრები განიხილებოდა სარჩელში წარმოდგენილი სამართლებრივი თუ ფაქტობრივი გარემოებების იგნორირებით. ხშირ შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარეები ერთპიროვნულად იღებდნენ გადაწყვეტილებებს, კოლეგიური ორგანოს განხილვის გარეშე, რითაც არღვევდნენ საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებს.

12.1.

თეთრიწყაროს საქმე: სასამართლოს დამოუკიდებლობის იშვიათი შემთხვევა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს სასამართლოებში შეტანილი ასობით საჩივრიდან, მხოლოდ ერთის განხილვა დასრულდა ისეთი გადაწყვეტილებით, რამაც არჩევნების საბოლოო შედეგების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დააყენა.

ეს იყო თეთრიწყაროს საქმე, რომელიც მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუამ განიხილა და იქცა ერთადერთ პრეცედენტად, სადაც სასამართლომ იმოქმედა დამოუკიდებლად და არსებითად შეისწავლა ყველა გარემოება.

დამოუკიდებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საჩივარი წალკისა და თეთრიწყაროს ოლქების 30 ელექტრონულ საარჩევნო უბანს ეხებოდა. სასამართლო პროცესები, რომლებიც ორი დღის განმავლობაში, თითქმის 16 საათს გაგრძელდა, მკვეთრად განსხვავდებოდა არჩევნების შემდგომი დავებისთვის დამახასიათებელი ფორმალური და ზედაპირული მიდგომებისგან. სასამართლო განხილვის კეთილსინდისიერების იშვიათი მაგალითი გამოავლინა და მიიღო გადაწყვეტილება სასამართლო ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ. სასამართლო დარბაზში მიიტანეს ხმის მთვლელი აპარატი და არჩევნების დღეს გამოყენებული ბიულეტენების იდენტური ნიმუშები.

ექსპერიმენტმა ცალსახად დაადასტურა, რომ ბიულეტენის მეორე მხარეს მარკირების კვალი ჩანდა, რაც თითოეული მიცემული ხმის ამოცნობას შესაძლებელს ხდიდა. ამის საფუძველზე, მოსამართლე ვლადიმერ ხუჭუამ დაადგინა, რომ ბიულეტენების დიზაინი, ხმის მთვლელ აპარატთან ერთად, არღვევდა ხმის ფარულობის ფუნდამენტურ უფლებას: "სასამართლოს ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ მტკიცებულებების გამოკვლევით, ამ საარჩევნო აპარატით ამ საარჩევნო ბიულეტენით, ამ საარჩევნო ჩარჩო კონვერტით, ხმის დაცულობის და ხმის ფარულობის გარანტია ამომრჩეველს არ ჰქონდა. აქ ლაპარაკია გარანტიაზე", განაცხადა მოსამართლე ხუჭუამ, გადაწყვეტილების გამოტანის დროს. [107]

თუმცა, სასამართლოს დასკვნები ამით არ შემოფარგლულა. მოსამართლემ ასევე დაადგინა, რომ წალკის საოლქო საარჩევნო კომისიამ უხეში პროცედურული დარღვევები ჩაიდინა, რაც მოიცავდა საჩივრების რეგისტრაციაზე უარის თქმას, მანიპულაციებს და დამკვირვებლების საქმიანობაში ჩარევის ფაქტებს. მოსამართლის დასკვნით, ამგვარმა ქმედებებმა კიდევ უფრო დააზიანა საარჩევნო პროცესის სანდოობა აღნიშნულ ოლქებში.

30 საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმებით, მოსამართლე ხუჭუამ აჩვენა მართლმსაჯულების უმნიშვნელოვანესი როლი სისტემური საარჩევნო დარღვევების აღმოფხვრაში, თუკი ის დამოუკიდებლად და კეთილსინდისიერად მოქმედებს.

12.2.

საქმე, რომელსაც შეეძლო არჩევნების შედეგების შეცვალა

სამწუხაროდ, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება დიდხანს არ დარჩა ძალაში. ის თბილისის სააპელაციო სასამართლომ, ქვეყნის სასამართლო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი, თითქმის 24-საათიანი უწყვეტი სხდომის შედეგად გააუქმა. სხდომაზე სამი სხვადასხვა სარჩელი განიხილებოდა: 1. კოალიცია „ჩემი ხმის" მოთხოვნა ხმების გადათვლაზე; 2. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მოთხოვნა ყველა ელექტრონული უბნის შედეგების გაუქმებაზე, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის გამო; 3. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სარჩელი თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე. წარმოდგენილი საკითხების სირთულისა და სიმძიმის გარდა, პროცესზე გამოვლინდა რამდენიმე პროცედურული დარღვევა, რამაც დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი გახადა. კერძოდ:

- საქმეთა გაერთიანება: ნაცვლად იმისა, რომ სარჩელები შინაარსისა და დაყენებული მოთხოვნების მიხედვით კოლეგიებს განეხილათ, სააპელაციო სასამართლომ ისინი ყველა ერთ საქმედ გააერთიანა და სამი მოსამართლისგან შემდგარ, ერთ პალატას გადასცა. სარჩელები იმდენად განსხვავებული იყო ერთმანეთისგან, რომ გამოყოფილ დროში მათი სრულყოფილი შეფასება შეუძლებელი იყო.

- შევიწროებული ვადები და უარი შუამდგომლობებზე: სააპელაციო სასამართლოს სხდომა 15:00 საათზე დაიწყო და მეორე დღის 13:00 საათამდე გაგრძელდა. მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაყენებული მრავალი შუამდგომლობისა სხდომის გადადების ან შესვენების თაობაზე, რაც მრავალტომიანი საქმეების მტკიცებულებების შინაარსობრივი დამუშავებისთვის იყო აუცილებელი, არ დაკმაყოფილდა.

● მიუკერძოებლობის პრინციპის უგულებელყოფა: პროცესის მიმდინარეობისას არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილის აცილების შუამდგომლობა დააყენეს. ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მის მიერ წარსულში სამოქალაქო სექტორის მიმართ გაკეთებულ კრიტიკულ საჯარო განცხადებებს, რაც ეჭვქვეშ აყენებდა მის მიუკერძოებლობას. აცილების შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ინსტიტუციური მიკერძოების აღქმა და განცდა, რომ ინტერესთა კონფლიქტისგან დაცვის პროცედურული მექანიზმები რეალურად არ არსებობდა.

● მტკიცებულებების გაყალბების მცდელობა: პროცესზე დავის ერთ-ერთი მთავარი საგანი ელექტრონულ უბნებზე ხმის ფარულობა იყო. არასამთავრობო ორგანიზაციები ითხოვდნენ, რომ ხმების ფარულობაზე სასამართლო ექსპერიმენტი დამოუკიდებელ ექსპერტებს ჩაეტარებინათ და არა ცესკოს წარმომადგენლებს, თუმცა ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. სასამართლო სხდომაზე, ცესკოს წარმომადგენელმა ბიულეტენი საარჩევნო ყუთში ისე მოათავსა, რომ აშკარად შეეცადა დაეფარა მელნის გაჟონვის ფაქტი.

წარმოდგენილი მასალების მოცულობის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოსთვის ობიექტურად შეუძლებელი იყო საქმის არსებითი განხილვა 24-საათიან ვადაში. შესაბამისად, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოკლებული იყო სამართლებრივ არგუმენტაციას და დასაბუთებას, მისი შედეგი აშკარად წინასწარ განსაზღვრული იყო. საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არცერთი მოთხოვნა, რითაც მართლმსაჯულების პროცესის მიმართ ნდობა კიდევ ერთხელ მნიშვნელოვნად შეირყა.

12.3.

"ქართული ოცნება" ალიარების მოღოდინში, მაგრამ ხმა არსაიდან

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, „ქართული ოცნებას“ ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა: რაც შეიძლება სწრაფად შეეკრიბა პარლამენტი, ეღიარებინა საკუთარი უფლებამოსილება და ახალი პრეზიდენტის არჩევის პროცედურა დაეწყო.

პარალელურად, „ქართული ოცნება“ ცდილობდა საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ევროკავშირის ქვეყნებიდან იღებდა სიგნალებს არჩევნების აღიარებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო აღიარების ილუზიის შესაქმნელად, „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარ პოლიტიკურ მოკავშირეს, ვიქტორ ორბანსაც კი უხმო. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი არჩევნებიდან მეორე დღესვე ეწვია საქართველოს, თუმცა, ეს ვიზიტი „ქართული ოცნების“ ამომრჩევლისთვისაც კი არ აღმოჩნდა საკმარისად დამაჯერებელი.

ერთი შეხედვით, პარადოქსულია, როგორ შეიძლება ხელისუფლება ასე ესწრაფვოდეს დასავლეთის აღიარებას და, ამავდროულად, ყველაფერს აკეთებდეს რომ ეს აღიარება არასდროს მოხდეს. თუ ევროპის აღიარება მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, მაშინ რატომ შეაჩერა „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესი საპარლამენტო მანდატების ცნობიდან სულ რაღაც სამ დღეში?

პასუხი „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მოქმედების ხერხშია, რომელიც მუდმივ ილუზიაში ამყოფებს საკუთარ ამომრჩეველს. ევროპული კეთილდღეობისკენ სწრაფვა მხოლოდ დაპირებაა, სინამდვილეში კი აქტიურად ძირს უთხრის ამ გზას.

რაც შეეხება პარლამენტის ლეგიტიმურობას, 2024 წლის 25 ნოემბერს, ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა, მხოლოდ "ქართული ოცნების" წევრების მონაწილეობით, დახურულ კარს მიღმა, საპროტესტო აქციების ფონზე გაიმართა. „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა შანსი, დაეცვა პროცედურული კანონიერების მინიმალური სტანდარტი მაინც და დალოდებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას პრეზიდენტისა და რამდენიმე დეპუტატის სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც არჩევნების კონსტიტუციურობას ეჭვქვეშ აყენებდა. ცხადია, ასე არ მოხდა. 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, "ქართულმა ოცნებამ" მხოლოდ ძალაუფლების კონსოლიდაციის დაუოკებელი სურვილი გამოავლინა და ქვეყანა ავტორიტარული რეჟიმის დამყარების უპრეცედენტოდ დაჩქარებულ გზაზე დააყენა.

13

რას ამბობენ ციფრები? სტატისტიკური მონაცემები არჩევნების შესახებ

დემოკრატიულ სისტემებში სტატისტიკური მონაცემები, როგორც წესი, რეალობასთან თანხვედრაშია. თუმცა, საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, სტატისტიკამ სულ სხვა სურათი აჩვენა. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) „ქართული ოცნება“ გამარჯვებულად გამოაცხადა, მრავალმა დამოუკიდებელმა წყარომ, კერძოდ კი „ედისონ რისერჩის“ (Edison Research) და „ჰარისX-ის“ (HarrisX) ეგზიტპოლებმა, ისეთი შეუსაბამობები გამოავლინა, რაც ოფიციალურ შედეგებს ეჭვქვეშ დააყენა.

13.1.

ეგზიტპოლები და წინასაარჩევნო ტენდენციები: აშკარა შეუსაბამობა

„ედისონ რისერჩი“ და „ჰარისX“, საერთაშორისოდ აღიარებული სოციოლოგიური კომპანიებია, რომლებიც წლებია აპრობირებული მოდელების გამოყენებით ატარებენ ეგზიტპოლებს საქართველოში. „ედისონის“ ეგზიტპოლის მიხედვით, „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 41% [108] მოიპოვა, ხოლო „ჰარისX-ის“ შეფასებით – 44%. [109] თუმცა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) 53.9% გამოაცხადა, რაც თითქმის 13%-ით აღემატებოდა „ედისონის“, ხოლო თითქმის 10%-ით „ჰარისX-ის“ მონაცემებს. ორივე კომპანიამ განაცხადა, რომ ასეთი გადახრები სტატისტიკურად შეუძლებელი იყო სტანდარტული სანდოობის ინტერვალებისა და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით.

„ედისონ რისერჩი“ (Edison Research) წინა არჩევნებში „ქართული ოცნების“ შედეგებს მუდმივად 2%-ზე ნაკლები გადახრით პროგნოზირებდა. თუმცა, 2024 წელს ეს ისტორიული უწყვეტობა მკვეთრად დაირღვა. „ედისონის“ აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა, რობ ფარბმანმა, აღნიშნა: „13 პროცენტული პუნქტის სხვაობა Edison Research-ის შეფასებასა და „ქართული ოცნების“ ოფიციალურ, 54%-იან შედეგს შორის არ შეიძლება მხოლოდ ნორმალური ვარიაციით აიხსნას, და ადგილობრივ დონეზე ხმების მანიპულირებაზე მიუთითებს“.



ფიგურა: „ედისონ ჩისეჩჩის“ ეგზიტპოლებისა და ცესკოს საბოლოო შედეგების შედარება საქართველოში (2012–2021).

„ჰარისX-ის“ საბოლოო ანგარიშმა დამატებითი სტატისტიკური დასაბუთება წარმოადგინა იმისა, რომ ცესკოს მიერ „ქართული ოცნებისთვის“ მინიჭებული შედეგი „სტატისტიკურად შეუძლებელი“ იყო. [110] ეს დასკვნა 12,000-ზე მეტი ინტერვიუსა და ამომრჩეველთა აქტივობით შეწონილი მოდელის საფუძველზე გაკეთდა. აღსანიშნავია, რომ „ჰარისX-მა“ მთლიანი ხმების დაახლოებით 8%, ანუ 172,523 ხმა გამოყო, რომელიც არ აიხსნებოდა რაიმე ლეგიტიმური სტატისტიკური კორექტირებით. „ჰარისX-ის“ საუბნო დონის ანალიზმა გამოავლინა 27 საარჩევნო ოლქი მათემატიკური ანომალიებით. ყველაზე მაღალი გადახრა მარნეულში დაფიქსირდა, სადაც ცესკომ „ქართული ოცნების“ 80%-იანი მხარდაჭერა დააფიქსირა, მაშინ როცა „ჰარის X-ის“ მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 40% იყო. „ჰარისX-ის“ თანახმად, ეს განსხვავება არ შეცვლილა მაშინაც კი, როცა კომპანიამ ყველა შესაძლო სტატისტიკური შესწორება (მათ შორის მონაცემების შეწონვა და მიკერძოების გათვალისწინება) და 95%-იანი სიზუსტის შემოწმება გამოიყენა.

Region	District	GD Vote 2020 (ElectionsData.ge/data)	GD Vote 2024 (Election Administration of Georgia)	GD Vote 2024 (HarrisX)	VARIANCE: GD Vote 2024 (Election Administration of Georgia) vs. GD Vote 2024 (HarrisX)	GD Vote 2020 (ElectionsData.ge/data)	GD Vote 2024 (Election Administration of Georgia)	GD Vote 2024 (HarrisX Estimates)	VARIANCE: GD Vote 2024 (Election Administration of Georgia) vs. GD Vote 2024 (HarrisX)
Tbilisi	01.Mtatsminda	43%	42%	30%	+12%	13,003	14,699	10,586	+4,113
	02.Vake	41%	38%	28%	+10%	25,237	28,997	21,022	+7,975
	03.Saburtalo	41%	39%	27%	+13%	30,908	37,705	25,412	+12,293
	04.Krtsanisi	44%	49%	36%	+13%	9,086	11,002	8,073	+2,929
	05.Isani	42%	45%	33%	+12%	23,110	28,778	20,880	+7,898
	06.Samgori	42%	45%	34%	+11%	29,782	36,999	27,607	+9,391
	07.Chughureti	45%	44%	33%	+11%	14,188	17,941	13,519	+4,422
	08.Didube	44%	42%	30%	+12%	17,169	17,290	12,366	+4,924
	10.Gldani	39%	41%	32%	+8%	27,876	34,993	27,785	+7,208
Kakheti	11.Sagarejo	50%	66%	49%	+16%	11,442	16,313	12,244	+4,069
	12.Gurjaani	52%	62%	49%	+13%	16,935	20,094	15,806	+4,288
	13.Sighnaghi	53%	63%	37%	+25%	9,503	11,319	6,717	+4,602
	16.Kvareli	47%	57%	23%	+34%	8,459	9,851	3,966	+5,884
	18.Akhmeta	43%	56%	26%	+30%	7,017	8,778	4,087	+4,691
Kvenmo Kartli	22.Marneuli	48%	80%	40%	+40%	21,451	34,328	17,263	+17,065
	23.Bolnisi	68%	81%	55%	+26%	18,173	20,788	14,158	+6,631
	28.Dusheti	53%	59%	44%	+15%	7,338	8,889	6,636	+2,253
	32.Gori	52%	57%	42%	+14%	32,945	37,474	27,966	+9,508
	35.Khashuri	46%	52%	38%	+14%	12,572	14,800	10,810	+3,990
Samtskhe - Javakheti	40.Akhalkalaki	65%	88%	59%	+29%	12,270	18,187	12,132	+6,055
Imereti	54.Samtredia	54%	62%	36%	+26%	13,651	15,432	8,987	+6,445
	58.Tskaltubo	44%	58%	45%	+13%	12,205	16,624	12,853	+3,771
	59.Kutaisi	41%	47%	35%	+12%	29,219	38,095	28,363	+9,733
Samegrelo - Zemo Svaneti	67.Zugdidi	47%	51%	42%	+9%	25,110	27,789	23,113	+4,676
	68.Tsalenjikha	47%	48%	24%	+24%	6,700	7,200	3,599	+3,601
	70.Poti	50%	52%	32%	+20%	10,909	11,290	7,011	+4,279
Adjara	79.Batumi	42%	50%	39%	+11%	32,305	45,593	35,762	+9,830
Total	Total	**46%**	**51%**	**36%**	**+15%**	**478,563**	**591,247**	**418,724**	**+172,523**

Note: Statistical variance in these 27 Districts has been tested at a 95 percent confidence interval, revealing that the variance observed is highly improbably or impossible.

HarrisX. „HarrisX აქვეყნებს საქართველოს 2024 წლის ეგზიტპოლის საბოლოო ანალიზს.“ HarrisX, 2024 წლის 31 ოქტომბერი. ნახვის თარიღი: 2025 წლის 9 მაისი.

13.2.

„ჩუსული კუდი“

წარმოიდგინეთ ორი სოფელი: პირველში ამომრჩეველთა 60% მიდის არჩევნებზე, საიდანაც 30% ხმას მმართველ პარტიას აძლევს. მეორეში კი, 95%-იანი აქტივობის ფონზე, თითქმის ყველა - 95% აძლევს ხმას მმართველ პარტიას. ერთჯერადად, ეს შესაძლოა დამთხვევა ყოფილიყო. თუმცა, როდესაც მსგავსი ტენდენცია განმეორებით შეინიშნება გარკვეულ რეგიონებში, ეს მიუთითებს შედეგების მანიპულირებაზე, მაღალი მხარდაჭერის ხელოვნურად დემონსტრირების მიზნით.

გაყალბების ამ სურათს ამყარებს რომან უდოტისა და ლევან კვირკველიას მიერ ჩატარებული ანალიზი, რომლებმაც გამოიყენეს სპეციალურად შემუშავებული მეთოდები ხმების მანიპულაციების გამოსავლენად. [111] მათმა კვლევამ აჩვენა, რომ ამომრჩეველთა აქტივობის ზრდასთან ერთად, „ქართული ოცნების“ ხმების წილი არაპროპორციულად იზრდებოდა. ეს არის კლასიკური „წითელი დროშა“, რომელიც დაკავშირებულია იძულებით ხმის მიცემასთან, ბიულეტენების ჩაყრასთან, ან ხმების მოსყიდვასთან.

სტატისტიკურმა ანალიზმა მკაფიო სხვაობა გამოავლინა ქალაქებსა და რეგიონებში ხმის მიცემის მონაცემებს შორის. დიდ ქალაქებში, მაგალითად, თბილისში, რუსთავში და ბათუმში, ხმის მიცემის შედეგები სამართლიანი არჩევნებისთვის დამახასიათებელ მოსალოდნელ ციფრებს შეესაბამებოდა [112] . თუმცა, სხვა რეგიონებში, განსაკუთრებით ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და დმანისში, მანიპულაციის ნიშნები აშკარად შესამჩნევი იყო. [113] ამ რაიონებში 15-მდე სხვადასხვა „წითელი დროშა“ აღინიშნა, მათ შორის: არაბუნებრივად მაღალი აქტივობა და „ქართული ოცნებისთვის“ მიცემული ხმების არარეალურად მაღალი წილი, რაც შეუსაბამოა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების პრინციპებთან.

ასეთი ტიპის პატერნი, რომელიც „რუსული კუდის“ [114] სახელითაა ცნობილი, მიანიშნებს საეჭვო კორელაციაზე აქტივობასა და „ქართული ოცნების“ მხარდაჭერას შორის. უდოტის ანალიზმა დაადასტურა ეს შეუსაბამობები: მაშინ, როდესაც ქალაქის შედეგები შეესაბამებოდა S-S ჰიპოთეზას (ხმის მიცემის ქცევის მოდელი), მრავალი სოფლისა და რაიონის შედეგები მკვეთრად გადაიხარა, რაც მიუთითებს ბიულეტენების პოტენციურ ჩაყრასა და ხმების არასწორად დათვლაზე, რომელთაგან ორივემ „ქართულ ოცნებას“ მოუტანა სარგებელი.

13.3.

საარჩევნო აქტივობის გენდერული შეუსაბამობები

წარმოიდგინეთ პატარა ქალაქი, სადაც 100 კაცი და 100 ქალია რეგისტრირებული ამომრჩევლად. არჩევნების შემდეგ ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ 95-მა კაცმა და 55-მა ქალმა მიიღო მონაწილეობა, რაც უკვე მნიშვნელოვანი გენდერული დისბალანსია. მაგრამ მოგვიანებით გამოვლინდა, რომ 105-მა კაცმა მისცა ხმა, რაც აღემატება რეგისტრირებულთა თავდაპირველ რიცხვს.

ეს სტატისტიკური ანომალია გამოვლინდა ISFED-ის მიერ გენდერულად სეგრეგირებული ამომრჩეველთა აქტივობის ანალიზის შედეგად.[115] ცესკოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, საარჩევნო უბნების მნიშვნელოვან რაოდენობაში მამაკაცებისა და ქალების აქტივობის მაჩვენებლები ნორმალური განაწილების ნიმუშებიდან ისეთი ხარისხით გადაიხარა, რაც სტატისტიკური სტანდარტებით დაუჯერებლად მიიჩნევა.

62 უბანზე, მამაკაც ამომრჩეველთა აქტივობა, გავრცელებული ინფორმაციით, 80%-დან 100%-მდე მერყეობდა, ხოლო ქალთა აქტივობა 57%-ით შემოიფარგლებოდა, რაც 20 პროცენტულ პუნქტზე მეტი აუხსნელი გენდერული სხვაობაა. უფრო შემაშფოთებელია, რომ სულ მცირე ექვს უბანზე, მამაკაც ამომრჩეველთა რაოდენობა რეგისტრირებულ მამაკაც ამომრჩეველთა 100%-ს აღემატებოდა, რაც მათემატიკურად შეუძლებელია, თუნდაც ყველა სპეციალური სიის ამომრჩეველი მამაკაცი ყოფილიყო.[116] სულ, „სამართლიანმა არჩევნებმა“ 275 საარჩევნო უბანი გამოავლინა, სადაც გენდერული აქტივობის სხვაობა 20%-ს აღემატებოდა, და ამათგან 243-ში მამაკაცთა აქტივობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა ქალთა აქტივობას. ამ 275 უბანში „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 66% მიიღო. [117]

ცესკომ მოგვიანებით აღიარა შეუსაბამობა 11 საარჩევნო უბანზე, თუმცა ისინი საუბნო კომისიების ტექნიკურ შეცდომებს მიაწერა, შესწორებული მონაცემების მიწოდებისგარეშე. [118]

ISFED-ის ეს დასკვნები საარჩევნო ექსპერტმა, რომან უდოტმა, შემდგომი გამოძიებისთვის გამოიყენა. მან უფრო ღრმად შეისწავლა ე.წ. „გენდერული გადახრის“ ანომალია. არჩევნების გაყალბების გამოსავლენად ხშირად გამოყენებული კისლინგ-შპილკინის მოდელის მსგავსი სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით, უდოტმა გააანალიზა ცესკოს მიერ გამოქვეყნებული გენდერის მიხედვით სეგრეგირებული აქტივობის მონაცემები.

მისი ანალიზი მიანიშნებს, რომ არჩევნებზე აქტივობის გენდერული სხვაობა შემთხვევითი არ ყოფილა. უდოტმა დაადასტურა ძლიერი კორელაცია ამ უჩვეულო გენდერულ გადახრასა და „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ხმების არაბუნებრივად მაღალ რაოდენობას შორის. ეს კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო იმ რეგიონებში, რომლებიც უკვე ცნობილი იყო დარღვევების სიმრავლით. უდოტის შეფასებით, სწორედ ამ მეთოდის მეშვეობით „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ხელოვნურად შესაძლოა 300 000-მდე ხმა დაემატა. [119]

ამ ცდომილების გასწორების შემდეგ, „ქართული ოცნების“ რეალური მხარდაჭერა 45%-მდე მცირდება, შესაძლოა 38%-მდეც, იმ შემთხვევაში, თუ ხმები სხვა პარტიებზე გადანაწილდება. ამ გაბერილი ხმების წილის გარეშე, „ქართული ოცნება“ საპარლამენტო უმრავლესობას დაკარგავდა.[120] **გენდერული მანიპულაციის აღმოფხვრის შედეგად, ხმის მიცემის მონაცემები ნორმას უბრუნდება: საეჭვო აქტივობის ნიმუშები ქრება, პარტიების შედეგები პროპორციული ხდება და ეგზიტპოლებს ემთხვევა.**

14

საქართველო არალიბერალური სცენარის კვალდაკვალ: უკვე ნანახი სცენარი ევროპაში

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დემოკრატიული უკუსვლის პროცესზე დაკვირვებისას საქართველოს პოლიტიკური ტრაექტორია ნაცნობ და შემაშფოთებელ სურათს ქმნის. არალიბერალური სცენარი, რომელიც პირველად ფარიდ ზაქარიამ აღწერა ნაშრომში „არალიბერალური დემოკრატიის აღმავლობა“ (1997 წ.) [121] და რომელიც მოგვიანებით უნგრეთში ვიქტორ ორბანმა [122] და სლოვაკეთში რობერტ ფიცომ [123] გამოიყენეს, ახლა უკვე პარტია „ქართულმა ოცნებამ“ აქტიურად აითვისა. სახელმწიფო ინსტიტუტების ხელში ჩაგდების, მედიის კონტროლის, სამოქალაქო საზოგადოების სტიგმატიზაციის, იდენტობისა და კულტურის პოლიტიზების ნაცნობი ტაქტიკა ქართულ კონტექსტში ადაპტირდა, ხოლო თბილისი, ამ დემოკრატიული უკუსვლის უახლეს ბრძოლის ველად იქცა რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ მეთოდები ახალი არ არის, მათი გამოყენება საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც ოდესღაც დემოკრატიის შუქურად ითვლებოდა გეოპოლიტიკურად დაძაბულ სამეზობლოში, ხაზს უსვამს არალიბერალური სტრატეგიების გატარების მზარდ ამბიციას. საბოლოო მიზანი, სხვა არალიბერალური რეჟიმების მსგავსად, არა კონკურენტული პოლიტიკის წახალისება, არამედ არჩევნების ძალაუფლების ლეგიტიმაციის იარაღად გარდაქმნაა. ამის შედეგად, პოლიტიკა არსებითი დებატებისგან იცლება და არსებობისთვის ბრძოლად გადაიქცევა.

14.1.

ხმების მოპოვება შიშზე დაფუძნებული ტაქტიკით

არალიბერალური სტრატეგია, ხშირად, არჩევნებს პოლიტიკური დებატებიდან ეგზისტენციალურ რეფერენდუმად გარდაქმნის. ორბანი უნგრეთში ოსტატურად წარმოაჩენს არჩევნებს, როგორც ბრძოლას ჯორჯ სოროსის, [124] LGBTQ+ “იდეოლოგიისა” [125] და ბრიუსელის ბიუროკრატიის [126] წინააღმდეგ, ხოლო ფიცოს ბანაკი სლოვაკეთში პროევროპულ კანდიდატს უცხოურ ძალებთან კავშირში მყოფ “ომის წამქეზებლად” მოიხსენიებს. [127]

„ქართული ოცნებაც“ ასეთივე მეთოდს იყენებს. ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებას ის წარმოაჩენს არა მხოლოდ პოლიტიკურ მეტოქეებად, არამედ ქაოსისა და უცხო ძალების აგენტებად. [128] პარტიის ნარატივი, რომელსაც მისი ერთგული მედია აძლიერებს, კონცენტრირდება “ომის პარტიის” შეთქმულების თეორიაზე, თითქოს კრიტიკოსები საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვას ცდილობენ. [129] NGO-ები და აქტივისტები “დასავლური იდეოლოგიური კოლონიზაციის” იარაღებად არიან გამოცხადებული [130] , ხოლო არჩევნები ქართველებისთვის მშვიდობასა და ომს შორის არჩევანის ფარგლებშია წარმოჩენილი. ეს სტრატეგია არსებითი დებატების განეიტრალებასა და რაციონალურ ინტერესებზე მეტად, შიშის მობილიზებას ეფუძნება.

14.2.

მართლმსაჯულების კონტროლი

არალიბერალური სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია სასამართლოს დამოუკიდებლობის ნეიტრალიზება. [131] უნგრეთის გამოცდილება, სადაც ორბანმა სასამართლოები და ადმინისტრაციული ორგანოები შეავსო ლოიალურად დამოკიდებული ადამიანებით, და სლოვაკეთის გამოცდილება, სადაც ფიცომ კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი პროკურორები დასაჯა, აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია მიტაცებულ სასამართლო სისტემას დაიცვას მმართველი ელიტა და ლეგიტიმაცია მისცეს კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებულ არჩევნებს.

საქართველოში, მიუხედავად განხორციელებული ფორმალური რეფორმებისა, სასამართლო სისტემაში კვლავ გავლენიანი კლანი დომინირებს, რომელიც „ქართული ოცნების“ ინტერესებს ემსახურება. [132] სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად პოლიტიკურად მოტივირებულია, მათ შორის საარჩევნო დავებთან დაკავშირებით, და ძირითადად თანხვედრაშია მმართველი პარტიის ინტერესებთან. ეს პრაქტიკა

სხვა ქვეყნებში არსებულ სასამართლოს ხელში ჩაგდების მოდელს იმეორებს. შესაბამისად, მართლმსაჯულების განმახორციელებელი დამოუკიდებელი ორგანოს ნაცვლად, ისინი პოლიტიკური მიზნების მისაღწევი ინსტრუმენტები არიან.

14.3.

მედიის ხელში ჩაგდება

არალიბერალური რეჟიმებისთვის, რომელთა მიზანიც საარჩევნო უპირატესობის უზრუნველყოფაა, ინფორმაციული სივრცის კონტროლი კომპრომისს არ ექვემდებარება. უნგრეთში KESMA-ს ფონდი მკაფიო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მედიაგარემოს ერთპიროვნულად დამორჩილება მფლობელობის კონსოლიდაციისა და სახელმწიფო რესურსების გამოყენებით. [133] სლოვაკეთის მაგალითზე კი ჩანს, როგორ შეიძლება პოლიტიკური ზეწოლითა და კრიტიკული ჟურნალისტების „მტრებად“ [134] წარმოჩენით შეიცვალოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ფორმატი და შინაარსი. [135]

2025 წლის 31 მაისიდან, საქართველოს მედია, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან, რადგან ძალაში შედის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი (ასევე ცნობილი როგორც „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“). კანონი ითხოვს, რომ ფიზიკური და იურიდიული პირები დარეგისტრირდნენ, როგორც „უცხო ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციები“, თუ ისინი მოქმედებენ უცხოური პრინციპალის მითითებით, მოთხოვნით, ინსტრუქციით ან კონტროლით, მათ შორის „პოლიტიკური საქმიანობისთვის“, უცხოური პრინციპალის ინტერესებით, ან მისი სახელით. [136]

კანონის მიხედვით, რეგისტრირებულ პირებს დაეკისრებათ ვალდებულება, წარადგინონ დეტალური ანგარიშები საკუთარი საქმიანობისა და ფინანსების შესახებ და ხელისუფლებას მიაწოდონ თითოეული საჯარო განცხადების ორი ასლი. გარდა ამისა, ყველა ასეთი განცხადება უნდა იყოს სპეციალურად მონიშნული, როგორც „უცხო ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ მიერ მომზადებული. ეს ტერმინი, თავისთავად, სტიგმატიზაციის ნიშნებით არის დატვირთული და საზოგადოებაში იძლევა იმ აღქმის საფუძველს, რომ ასეთი პირები დამოუკიდებელ სუბიექტებად აღარ ითვლებიან.

აშშ-ში მოქმედი, ამავე სახელწოდების კანონისგან განსხვავებით, რომელიც ვიწროდ და იშვიათად გამოიყენება, საქართველოს ვერსია ბევრად უფრო ფართო სპექტრს მოიცავს და მიზნად ისახავს დამოუკიდებელი ხმების სტიგმატიზაციასა და კონტროლს. მედიასაშუალებები და ცალკეული პირები, რომლებიც რეგისტრაციაზე უარს იტყვიან, 10 000 ლარამდე (3 600 აშშ დოლარი) დაჯარიმდებიან ან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა დაემუქრებათ. ამას ემატება მაუწყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც მთლიანად კრძალავს უცხოურ დაფინანსებას, რაც საგამოძიებო ჟურნალისტიკისთვის არსებობის შეწყვეტას ნიშნავს. [137]

პოლიტიკურად მოტივირებულ აუდიტის, ზედამხედველობის მექანიზმების და კონტროლირებადი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირობებში, მედია გარემო უფრო მტრულად განწყობილი გახდება დამოუკიდებელი ხმების მიმართ.

14.4.

ეროვნული იდენტობა როგორც პოლიტიკური იარაღი

იდენტობის პოლიტიკა არალიბერალური საარჩევნო სტრატეგიის ქვაკუთხედია. ორბანის მიერ უნგრეთის ალყაშემორტყმულ ქრისტიანულ ბასტიონად წარმოჩენა,[138] ისევე როგორც ფიცოს მიმართვები „ტრადიციული სლოვაკური ღირებულებების“ დასაცავად დასავლური კორუფციისგან, ნაცნობი ტაქტიკაა ამომრჩეველთა გასახლეჩად და პოლიტიკური ლოიალურობისთვის საჭირო ნიადაგის შესაქმნელად. [139]

„ქართული ოცნება“ სულ უფრო მეტად გადადის ამ სტრატეგიაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისი პროდასავლური კურსი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. პარტია თავს წარმოაჩენს, როგორც ქართული მართლმადიდებლობისა და ტრადიციული ნორმების დამცველად „ფსევდოლიბერალური“ უცხოური გავლენებისგან. ამ ნარატივის ფარგლებში, ლგბტქ+ უფლებები უცხოეთიდან თავსმოხვეულობად არის წარმოდგენილი, ხოლო ლიბერალური ღირებულებების ხელშემწყობი არასამთავრობო ორგანიზაციები ეროვნული იდენტობის საფრთხედ მოიაზრებიან.

2024 და 2025 წლებში მთავრობამ მიიღო კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს არატრადიციული იდენტობების „პოპულარიზაციას“ საგანმანათლებლო და საჯარო დაწესებულებებში [140] . ასევე, საკანონმდებლო სივრციდან ამოიღეს ტერმინები „გენდერი“ და „გენდერული იდენტობა“. [141] ამ ნაბიჯებით,

საქართველო უნგრეთსა და სლოვაკეთს უერთდება ანტი-ლგბტქ+ პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაციაში, რაც „კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების“ საფარქვეშ ხდება. ეს რიტორიკა, რომელსაც ხშირად მარიონეტები და მოკავშირე მედიები აძლიერებენ, მიზნად ისახავს საზოგადოების კულტურული ნიშნით პოლარიზაციას, კონსერვატიული ამომრჩევლების მობილიზაციასა და ოპონენტების მოღალატეებად წარმოჩენას.

14.5.

ევროპა, როგორც „სხვა“: სუვერენიტეტის რიტორიკა დემოკრატიული სტანდარტების წინააღმდეგ

არალიბერალური რეჟიმებისთვის დამახასიათებელია ევროკავშირის “სტრატეგიული გადაფასება”. ისინი ბრიუსელს პარტნიორის ნაცვლად, ხშირად ზემდეტ და მტრულ ძალად წარმოაჩენენ, რომელიც ეროვნულ სუვერენიტეტს ხელყოფს. ეს ნარატივი განსაკუთრებით მოსახერხებელია საარჩევნო პერიოდში დემოკრატიული უკუსვლის კრიტიკის მოსაგერიებლად.

ვიქტორ ორბანის მუდმივი დაპირისპირება ბრიუსელთან უკვე შაბლონად იქცა. ის ევროკავშირის კანონის უზენაესობასთან დაკავშირებულ შეშფოთებას უნგრეთის დამოუკიდებლობაზე პოლიტიკურად მოტივირებულ თავდასხმებად აფასებს. [142] სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი ფიცოც მსგავს რიტორიკას იყენებს და ევროკავშირის კრიტიკას ლიბერალების ჩარევად თვლის. [143]

ევროკავშირის კრიტიკაზე გადასვლა განსაკუთრებით შოკისმომგვრელი იყო საქართველოს მოქალაქეებისთვის, რადგან ქვეყანას ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ დიდი ხნის საზოგადოებრივი მხარდაჭერა ჰქონდა. „ქართული ოცნება“ ახლა ხშირად უარყოფს ევროკავშირის რეკომენდაციებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ, და აცხადებს, რომ ეს არის მიუღებელი უცხოური ჩარევა. „სუვერენიტეტის“ კონცეფცია გამოიყენება ისეთი საკანონმდებლო ცვლილებების გასამართლებლად, როგორიცაა ე.წ. „რუსული კანონი“, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტებს. ევროკავშირის ოფიციალური პირების ან ორგანოების კრიტიკა საარჩევნო პროცესთან ან დემოკრატიულ ნორმებთან დაკავშირებით, „გლობალური ომის პარტიის“ თავდასხმად ან დასავლური მიკერძოების მტკიცებულებად არის წარმოჩენილი.

15

რა ხდება არჩევნების მოპარვის შემდეგ?

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ევროკავშირმა, ეუთო/ოდირმა, ევროპის საბჭომ და სხვა დემოკრატიულმა პარტნიორებმა მიდგომებს უნდა გადახედონ. ქმედითი ნაბიჯების გარეშე, "ქართულ ოცნებასთან" პოლიტიკური და ფინანსური თანამშრომლობის გაგრძელება იმ პროცესის ლეგიტიმაციას შეუწყობს ხელს, რომელმაც ფუნდამენტურ დემოკრატიულ სტანდარტებსაც კი ვერ უპასუხა.

მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო აქტორმა არ მიიღონ 2024 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგები კრიტიკის გარეშე. ყველა ოფიციალური პოზიცია უნდა ეფუძნებოდეს იმ მძიმე დარღვევების ღიად დაფიქსირებას, როგორიცაა ამომრჩეველთა სისტემური დაშინება, ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა და საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკური მიკერძოება. არასათანადო პასუხი და რეაგირება არა მხოლოდ შეარყევს საქართველოში დემოკრატიის მხარდამჭერი ძალისხმევის სანდოობას, არამედ მთელი რეგიონისთვის სახიფათო პრეცედენტს შექმნის.

საერთაშორისო პარტნიორებმა პირდაპირ უნდა გააძლიერონ ის ინსტიტუციები, რომლებიც ქვეყანაში გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას ემსახურებიან. დემოკრატიული მედეგობის საქმეში მთავარ პარტნიორებად უნდა იქცნენ დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები, ჟურნალისტები, იურიდიული დახმარების ორგანიზაციები და აკადემიური წრეები. მათი საქმიანობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევების დოკუმენტირების, საზოგადოების ინფორმირებისა და რეფორმების ადვოკატირებისთვის.

ეს მხარდაჭერა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება „გრანტების შესახებ" კანონისა და ე.წ. „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის" (FARA) ამოქმედების შემდეგ, რომლებიც მნიშვნელოვნად ზრდის ზეწოლას სამოქალაქო საზოგადოებასა და დამოუკიდებელ მედიაზე. ეს კანონები ბარიერებს შეუქმნის სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, რათა იმუშაონ თავისუფლად და ანგარიშვალდებულება მოსთხოვონ საჯარო უწყებებს. საერთაშორისო თანამეგობრობა მზად უნდა შეხვდეს ამ გამოწვევას და უპასუხოს მას მოწყვლადი ორგანიზაციების დაცვის გაძლიერებული მექანიზმებით, სტაბილური დაფინანსებითა და სტრატეგიული პოლიტიკური მხარდაჭერით.

დასასრულს, გადამწყვეტი იქნება თანმიმდევრული, მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობა. ეს უნდა მოიცავდეს მკაფიო გზავნილებს ევროკავშირის ინსტიტუტებისა და წევრი სახელმწიფოების მხრიდან, დიპლომატიური ბერკეტების გამოყენებას და, საჭიროების შემთხვევაში, დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფის გამო შესაბამისი ზომების მიღებას. პასიური დამკვირვებლის როლი დღეს საკმარისი აღარ არის. საჭიროა პრაგმატული, პრინციპული მიდგომა, რომელიც აღიარებს არსებული ვითარების სიმძიმეს და უპასუხებს მას სიცხადითა და ურყეობით.

წყაროები

[1]CRRC საქართველო, კავკასიის ბარომეტრი 2024 – საქართველო. წვდომა: 2025 წლის 7 მაისი

[2] „ქართული ოცნება“ ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს დღის წესრიგიდან ხსნის, Civil.ge, 2024 წლის 28 ნოემბერი.

[3] “ქართული ოცნების” წინასაარჩევნო კამპანია ბიძინა ივანიშვილმა “გლობალური ომის პარტიის კონსპირაციაზე საუბრით გახსნა” Civil.ge, 2024 წლის 17 ივლისი.

[4] “საქართველოს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ”, გამოქვეყნების თარიღი 03.06.2024.

[5] “დამატებითი დასკვნა საარჩევნო კოდექსში და პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებების შესახებ ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ერთობლივ დასკვნასთან დაკავშირებით”, CDL-AD(2024)010, დამტკიცებული დემოკრატიული არჩევნების საბჭოს მიერ, საბჭოს მე-80 შეხვედრაზე (ვენეცია, 2024 წლის 20 ივნისი) და მიღებული ვენეციის კომისიის მიერ, კომისიის 139-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2024 წლის 21-22 ივნისი).

[6] “საქართველოს საარჩევნო კოდექსი”, მუხლი 115, მე-6 (1) პუნქტი

[7] „ცესკოს დადგენილება, რომლითაც იცვლება საუბნო საარჩევნო კომისიებში წილისყრის ჩატარების ვადები, კანონთან შეუსაბამოა,“ ISFED, ბოლო განახლება 2024 წლის 20 აგვისტო

[8] 95 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის განცახდება სავალდებულო გენდერული კვოტების გაუქმების შესახებ

[9] ეუთო/ოდირის სამართლებრივი დასკვნა გენდერული კვოტების გაუქმებასთან დაკავშირებით, ELE-GEND-GEO/501/2024. ვარშავა, 2024 წლის 11 ივნისი, ვენეციის კომისია. საქართველო – მოსაზრება საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტების გაუქმების შესახებ. CDL-AD(2024)023. მიღებულია 139-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2024 წლის 21–22 ივნისი). ევროპის საბჭო.

[10] „ქართული ოცნება“ და „გირჩი“ პარტიულ სიაში გენდერული კვოტირების გაუქმებაზე შეთანხმდნენ”, 2 აპრილი, 2024

[11] “სამომავლო გზა საქართველოსთვის”. 2021 წლის 18 აპრილი.

[12] The Messenger, 2021 წლის 3 აგვისტო

[13] OC Media. „საქართველოს ოპოზიციური პარტიები პარლამენტს ბოიკოტს უცხადებენ“. OC Media, 2020 წლის 4 თებერვალი.

[14] Ibid., 11.

[15] Civil.ge. „პარლამენტმა ცესკოს ფორმირების წესთან დაკავშირებულ ცვლილებებზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია“. Civil Georgia, 2024 წლის 19 მარტი

[16] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“. „საარჩევნო კანონმდებლობაში საპარლამენტო უმრავლესობის ცვლილებები წინააღმდეგობაშია ევროკომისიის მოთხოვნებთან“. 2024 წლის 15 თებერვალი.

[17] “დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის (OSCE/ODIHR) საბოლოო ანგარიში”, ვარშავა 2024 წლის 20 დეკემბერი.

[18] Ibid, [17].

[19] Ibid.

[20] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. “საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა სატელევიზიო ახალი ამბების მონიტორინგის ანგარიში” (27 აგვისტო - 26 ოქტომბერი, 2024 წელი).

[21] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. “საქართველოს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა სატელევიზიო ტოქშოუების მონიტორინგის ანგარიში” (27 აგვისტო - 26 ოქტომბერი, 2024) წელი.

[22] “დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის (OSCE/ODIHR) საბოლოო ანგარიში”, გვერდი 24. ვარშავა, 2024 წლის 20 დეკემბერი.

[23] ibid.

[24] “დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის (OSCE/ODIHR) საბოლოო ანგარიში”, გვერდი 3. ვარშავა, 2024 წლის 20 დეკემბერი.

[25] „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს განცხადება“, „რუსთავი 2“.

[26] შოთა ხინჩა, „ქართული ოცნება ომით განადგურებული უკრაინის სურათების გამოყენებით საარჩევნო კამპანიას იწყებს“, OC Media, 2024 წლის 26 სექტემბერი

[27] ComCom-მა „მთავარ არხს“, „TV პირველს“ და „ფორმულას“ სამართალდარღვევათა ოქმი შეუდგინა

[28] ლუის გუდალის სრული ინტერვიუ „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრ მარიამ ლაშხთან, ინტერვიუ ჩაწერა ლუის გუდალმა, The News Agents, YouTube ვიდეო, 26:55, 20 სექტემბერი, 2024, 9:02

[29] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), „გლობალური ომის პარტიის“ შეთქმულების თეორია: კონსპირაციის საწყისები, საერთაშორისო გამოცდილება და საფრთხეები

[30] FactCheck Georgia, „გლობალური ომის პარტია“, „მეორე ფრონტი“, დასავლეთის „უპრეცედენტო ჩარევა არჩევნებში“ და სხვა პროპაგანდისტული ნარატივები, რომლებიც დომინირებენ საქართველოს საინფორმაციო სივრცეში 2024 წლის წინასაარჩევნო პერიოდში“, ევროპის ციფრული მედიის ობსერვატორია, 2024 წლის 25 ოქტომბერი

[31] ibid.

[32] Civil.ge. ივანიშვილი: „სამუდამოდ დასრულდება უცხო ქვეყნებიდან ფსევდო-ლიბერალური ღირებულებების თავს მოხვევის ძალადობრივი მცდელობები“. 9 სექტემბერი, 2024 წელი.

[33] Civil.ge. ივანიშვილი: „„ქართული ოცნების“ მიერ დაინიცირებული კანონპროექტი ნაციონალური მოძრაობის „მემკვიდრე პარტიების არაკონსტიტუციურად გამოცხადებას“ ითვალისწინებს“. 14 სექტემბერი, 2024 წელი.

[34] Civil.ge. "საია შეურაცხმყოფელი ენის შემცველი სატელეფონო ზარების გამო შეშფოთებას გამოხატავს". 8 მაისი, 2024 წელი.

[35] დიმიტრი სამხარაძე, Facebook. “ნეოფაშისტების, უსამშობლო აგენტების წამოწყებულ უხარისხო ბულინგს გუშინ პასუხი გაეცა!” ხანგრძლივობა 9:22 წუთი, გამოქვეყნებულია დიმისტრი სამხარაძის მიერ, გამოქვეყნების თარიღი: 2024 წლის 31 მაისი.

[36] „ქართული ოცნების“ დეპუტატი აღიარებს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის ოფისებზე თავდასხმებს“, OC Media, 2024 წლის 31 მაისი

[37] Ibid., 25.

[38] Civil Georgia, „რუსეთის საგარეო დაზვერვა: აშშ საქართველოს არჩევნებში „ჩარევისთვის“ ეუთო/ოდირს შეეკრა“, Civil.ge, 2024 წლის 13 სექტემბერი

[39] ირმა დიმიტრაძე. „ქართული ოცნების“ ოფისიდან ფარულად მოპოვებული ფაილები“. „გაზეთი ბათუმელები“. 2024 წლის 15 ოქტომბერი.

[41] ibid.

[41] ibid.

[42] ibid.

[43] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (TIG). "სახელმწიფო რესურსები მმართველი პარტიის სამსახურში: ამომრჩევლის მოსყიდვისა და უკანონო მობილიზების აპრობირებული მეთოდები საქართველოში".

[44] TV პირველი, „სისტემიდან გაჟონილი საიდუმლო სიები - როგორ გაყალბდა არჩევნები“, ნოდარ მელაძის შაბათი, YouTube ვიდეო, 1:38:53, 2024 წლის 14 ოქტომბერი

[45] ibid.

[46] ნინო აფაქიძე და ეთო მიდელაშვილი, „სოციალურად დაუცველების დაშინება და შანტაჟი - როგორ ემზადება “ქართული ოცნება” არჩევნებისთვის“, iFact, 2024 წლის 23 ოქტომბერი.

[47] TV პირველი, „მტკიცებულებები: როგორ აშინებდნენ და ემუქრებოდნენ სოციალურად დაუცველებს“, ნოდარ მელაძის შაბათი, YouTube ვიდეო, 1:38:53, 2024 წლის 21 ოქტომბერი

[48] ibid.

[49] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. “„ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარის, ანა წითლიძის, განცხადებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩევლებს პირადობის მოწმობებს ართმევენ”, 9 ოქტომბერი 2024 წელი.

[50] მთავარი არხი, „რუსთავის დასუფთავების სამსახურის ადმინისტრაციამ მაცხოვრებლებს პირადობის მოწმობები ჩამოართვა“

[51] ტაბულა, „ცესკოს ოპოზიციონერი წევრი ამბობს, რომ საჯარო მოხელეებს პირადობის მოწმობებს სთხოვენ“, 2024 წლის 3 ოქტომბერი

[52] TV პირველი, „მტკიცებულებები: როგორ აშინებდნენ და ემუქრებოდნენ სოციალურად დაუცველებს“, YouTube ვიდეო, 1:38:53, 2024 წლის 21 ოქტომბერი

[53] ნოდარ მელაძის შაბათი, ტვ პირველი, 2024 წლის 14 ნოემბერი, 6:22 წუთიდან.

[54] ნოდარ მელაძის „შაბათი“, „ქართული ოცნების“ ქოლ-ცენტრები - ვინ არიან არჩევნების გაყალბების კაპიტნები“, TV პირველი, 2024 წლის 11 ნოემბერი

[55] ibid.

[56] „შსს: ყოფილი ძალოვნებისთვის პენსია პირველი მაისიდან გაიზრდება“, რადიო თავისუფლება

[57] „Civi.ge“, „150 000 პენსიონერისთვის სესხის განაკვეთები შემცირდება“, Civil.ge, 2024 წლის 23 თებერვალი

[58] Civil.Ge, „პრემიერ-მინისტრი არჩევნების წინ საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის გადაწყვეტილებას აანონსებს“, Civil.ge, 2024 წლის 8 აპრილი

[59] „ორიათასამდე მოქალაქეს კოვიდპანდემიის დროს დაკისრებული ჯარიმები ჩამოეწერება“, 1TV, 2024 წლის 3 ივნისი,

[60] რადიო თავისუფლება, “მინისტრმა მასწავლებლების ხელფასების ზრდაზე ისაუბრა - ვეცადეთ გაგვერკვია, ვინ და რამდენს აიღებს 1 ივლისიდან”, 13 ივნისი, 2024 წელი.

[61] Imedi News, "როდის დაიწყება ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამა, ვისთვის იქნება, როგორ შეირჩევიან მონაწილეები და რა იქნება ანაზღაურება - განათლების მინისტრმა „დღის ქრონიკაში“ განმარტა", 16 ივლისი, 2024 წელი

[62] მთავრობის განკარგულება #1025, “მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ”.

[63] ibid.

[64] „Civil.ge“. „პარლამენტმა “ოცნების” ინიცირებულ ამნისტიის კანონპროექტს მწვანე შუქი აუნთო“. 2024 წლის 19 ივლისი.

[65] ibid.

[66] „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, “ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში – შუალედური ანგარიში”, 2024 წლის 21 ოქტომბერი.

[67] ibid.

[68] Civil.ge. „ქართული ოცნების“ დასკვნით წინასაარჩევნო აქციაზე მხარდამჭერები მთელი საქართველოდან ჩამოიყვანეს, 23 ოქტომბერი, 2024 წელი.

[69] France 24. „საქართველოს მმართველი პარტია ანტისამთავრობო საპროტესტო აქციების დასაძლევად მასობრივ მიტინგს მართავს“. 2024 წლის 29 აპრილი.

[70]სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), “საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში”, 2025 წლის თებერვალი, 25

[71] ibid.

[72] “დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის (OSCE/ODIHR) საბოლოო ანგარიში”, გვერდი 40. ვარშავა 2024 წლის 20 დეკემბერი.

[73] “დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის (OSCE/ODIHR) საბოლოო ანგარიში”. 2020 წლის 31 ოქტომბერი.

[74] ibid.72

[75] ibid.72

[76] თბილისის საქალაქო სასამართლო. გადაწყვეტილება No3/7244-24. 2024 წლის 30 სექტემბერი.

[77] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „საგანგაშოა, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები დევნილების საარჩევნო უფლება ირღვევა “, 2024 წლის 4 ოქტომბერი

[78] Civil Georgia. „ანტიკორუფციული ბიურო სსო-ებს „განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტებად“ ცნობს და მათგან ფინანსურ ანგარიშებს მოითხოვს“. 2024 წლის 24 სექტემბერი.

[79] „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 20(15), თ ქვეპუნქტი.

[80] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის (OSCE/ODIHR) საბოლოო ანგარიში”, 2024 წლის 20 დეკემბერი.

[81] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). „საია და „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევენ, რომ ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილება უკანონოა“. ISFED, 2024 წლის 24 სექტემბერი.

[82] აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი. „რიში, კარდინი, რიკეტსი და შაჰინი საქართველოს მთავრობის მიერ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მოწმის დასჯაზე“. 2024 წლის 25 სექტემბერი.

[83] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო”: ჩვენი სახელით არჩევნებს ვერ დავაკვირდებით, ვაგრძელებთ ინდივიდუალურ ბრძოლას ხმების დაცვისთვის.” 30 სექტემბერი, 2024 წელი.

[84] Civil Georgia. “პრემიერ-მინისტრი სსო-ებისთვის ‘განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე ორგანიზაციების’ სტატუსის მოხსნისკენ მოუწოდებს”. 1 ოქტომბერლი, 2024 წელი.

[85] Civil Georgia. „პრემიერ-მინისტრის თხოვნით, ანტიკორუფციულმა ბიურომ TI საქართველოს „განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე ორგანიზაციის“ სტატუსი მოუხსნა“. 2024 წლის 2 ოქტომბერი.

[86] ნინო ლომჯარია, Facebook პოსტი: "როდესაც ჩემი ბიულეტენი შევაცურე ხმის მიცემის აპარატში, თავზე მედგა კომისიის წევრი, ერთად დავინახეთ გაფერადებული შავი წრე როგორ გამოჩნდა ბიულეტენის უკანა გვერდზე." Facebook, 2024 წლის 29 ოქტომბერი.

[87] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, Facebook პოსტი: “რჩევნების დღეს ხმის ფარულობის დარღვევის რისკები საიამ არჩევნებამდე ცესკოს მიერ გამართულ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებზე აღმოაჩინა და ამის შესახებ წინასწარ მიმართა ცესკოს, რომ მიეღო შესაბამისი ზომები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.” 30 ოქტომბერი, 2024 წელი.

[88] ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი განზრახ მალავს მელნის კვალს. ვიდეო, 0:12 წთ.

[89] Civil Georgia. „ოპონენტების თქმით, ცესკო-ს მიერ ხმის მიცემის ფარულობის დახვეწა დარღვევის აღიარების ტოლფასია “. Civil.ge, 2025 წლის 1 მაისი.

[90] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) და კოალიცია ჩემი ხმა: "26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ერთობლივი შეფასება", 2024 წლის ოქტომბერი.

[91] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED).” საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში.” 2025 წლის თებერვალი.

[92] ibid.54

[93] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED).” საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში.” 2025 წლის თებერვალი.

[94] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. “საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისია - წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში”. 1-ლი აპრილი - 16 ნოემბერი, 2024 წელი.

[95] MyVote. „როგორ გაყალბდა არჩევნები? სხვის ნაცვლად ხმის მიცემა“. Facebook ვიდეო, 2:00. გამოქვეყნებული 2024 წლის 1 ნოემბერს

[96] Ibid.

[97] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED).” საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში.” 2025 წლის თებერვალი.

[98] Ibid 94.

[99] Ibid 94.

[100] TV პირველი, “არჩევნების გაყალბება საქართველოში – ნინოწმინდა და ახალქალაქი”, YouTube ვიდეო, 2024 წლის 9 ნოემბერი.

[101] მთავარი არხი. „როგორ გააყალბა „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები“. Mtavari.tv, 2024 წლის 24 ნოემბერი.

[102] MyVote. „კენჭისყრისა და უბნის დახურვის პროცესის შეფასება“. WeVote.ge, 2024 წლის 27 ოქტომბერი.

[103] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის (OSCE/ODIHR) საბოლოო ანგარიში", 2024 წლის 20 დეკემბერი.

[104] ibid.

[105]„ატლანტიკური საბჭოს ციფრული კრიმინალისტური კვლევის ლაბორატორიის“ (DFRLab) და „დემოკრატიული არჩევნების ევროპული პლატფორმის“ (EPDE) ანგარიში: „ყალბი დამკვირვებლები საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე“. 2024 წლის 19 დეკემბერი

[106] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)." საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში." 2025 წლის თებერვალი.

[107] Civil.ge. "მოსამართლე ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას ადასტურებს, რაც მნიშვნელოვანი პრეცედენტია", 4 ნოემბერი, 2024 წელი.

[108] Edison Research, "Edison Research-ის ეგზიტპოლის შედარება ცესკოს საბოლოო შედეგებთან: 2024 წლის არჩევნები".

[109] HarrisX. „HarrisX აქვეყნებს საქართველოს 2024 წლის არჩევნების ეგზიტპოლის საბოლოო ანალიზს“. 2024 წლის 31 ოქტომბერი.

[110] ibid.108

[111] Civil.ge. დოქტორი ჰანს გუტბროდი, "თორმეტი ლახვარი: როგორ ყალბდებოდა მეთოდურად საქართველოს 2024 წლის არჩევნები". 2024 წლის 4 ნოემბერი.

[112] Civil Georgia. "ანალიტიკოსი: გენდერული სხვაობის ანალიზი არჩევნებზე 300 000 ხმის გაყალბებაზე მიუთითებს", 27 ნოემბერი, 2024 წელი.

[113] ibid.

[114] რადიო თავისუფლება. „რუსული კუდი“? - ანალიტიკოსები არჩევნების მონაცემებში ანომალიებს ხედავენ. 31 ოქტომბერი, 2024 წელი.

[115] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)." საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში." 2025 წლის თებერვალი.

[116] Ibid.115

[117] ibid.115

[118] ცესკო. "ამომრჩეველთა გენდერულ სტატისტიკასთან დაკავშირებით ინფორმაციით მანიპულირება გრძელდება - ბრიფინგი ცესკოში". 8 ნოემბერი, 2024 წელი

[119] რომან უდოტი (@romanik_). „სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ აქტივობაში გენდერული გადახრა კორელაციაშია „ქართული ოცნების“ მიერ გაბერილ ხმებთან. კორექტირების შემდეგ, „ქართული ოცნება“ უმრავლესობას კარგავს.“ X (ყოფილი Twitter), 2024 წლის 22 ნოემბერი.

[120] ibid.

[121] ფარიდ ზაქარია, „არალიბერალური დემოკრატიის აღზევება“, 1997 წლის ნოემბერი/დეკემბერი.

[122] ანდრეა ელ. პი. პირრო და ბენ სტენლი, „გაყალბება, გარდატეხა და გარღვევა: „ილიბერალური სახელმძღვანელოს“ პრაქტიკაში გამოყენება უნგრეთსა და პოლონეთში," პოლიტიკის პერსპექტივები, ტ. 20, № 1 (2022 წლის მარტი): გვ. 86–101

[123] რაფაელ მინდერი, „ევროპული არალიბერალური დემოკრატიის ახალი სახე“, Financial Times, 2024 წლის 31 ოქტომბერი

[124] თამაშ ბოროში, „ჯორჯ სოროსი და ვიქტორ ორბანი: ბრძოლა პროგრესულობასა და პოპულიზმს შორის“ The Progressive Post, ევროპის პროგრესული კვლევების ფონდი (FEPS), 2018 წლის 27 ოქტომბერი

[125] უილიამ ნატრასსი, „რატომ ებრძვის ვიქტორ ორბანი 'ლგბტ იდეოლოგიას", The Spectator, 2021 წლის 4 დეკემბერი

[126] ვიქტორ ორბანი, „მოდით, დავალაგოთ საქმეები ბრიუსელში," Miniszterelnok.hu, 2024 წლის 15 მარტი

[127] სლოვაკეთის პრემიერ მინისტრი, რობერტ ფიცო: კორჩოკი ომის მქადაგებელია, პრეზიდენტს არ შეუძლია სამხედროების გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება," Teraz.sk, 2024 წლის 21 მარტი

[128] „საქართველოს უცხოელი აგენტების შესახებ კანონი შესაძლოა გეოპოლიტიკური გადანაცვლების მაუწყებელი იყოს," Carnegie Endowment for International Peace

[129] სონია კატარინა შიფერსი, „საქართველო და რუსეთი: 'ერთ მატარებელში ოკუპანტთან ერთად," Heinrich Böll Stiftung, 2025 წლის 11 მარტი

[130] Civil Georgia, "ბიძინა ივანიშვილი ანტიდასავლურ პოლიტიკას ემხრობა და რეპრესიებით იმუქრება", Civil.ge, 2024 წლის 29 აპრილი

[131] Ibid.107

[132] „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“. სასამართლო სისტემის მდგომარეობა 2016–2020. 2020 წლის 23 დეკემბერი.

[133] საერთაშორისო პრესის ინსტიტუტი. „ანალიზი: არჩევნებიდან ერთი წლის შემდეგ, მედიის თავისუფლება უნგრეთში კვლავ ჩახშობილია.“ IPI Media, 2023 წლის 4 აპრილი

[134] კეტრინ იოჩეცოვა, „ჟურნალისტები 'სისხლისმსმელი ნაბიჭვრები' არიან და მათ გაკონტროლება სჭირდებათ, აცხადებს სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი ფიცო," Politico, 2024 წლის 9 ოქტომბერი.

[135] კეტრინ იოჩეცოვა და ტომ ნიკოლსონი, „სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი ფიცო თავისუფალი მედიის დემონტაჟს გეგმავს," Politico, 2024 წლის 11 მაისი.

[136] International Center for Notprofit Law (ICNL), „მიმოხილვა საქართველოს „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონის შესახებ," 2024 წლის აპრილი

[137] ibid.136

[138] ვიქტორ ორბანი, „პრემიერ-მინისტრი ორბანი: უნგრელები მხოლოდ ქრისტიანებად შეიძლება გადარჩნენ," About Hungary, 2021 წლის 27 სექტემბერი

[139] რობერტ ფიცო, „სრული სიტყვა: რობერტ ფიცო კონსერვატორთა პოლიტიკურ კონფერენციაზე (CPAC) 2025 , მეორე დღე , 21.02.2025," ვიდეოჩანაწერი, 28:45 წთ, გადაღებული 2025 წლის 21 თებერვალს, ატვირთული Right Side Broadcasting Network-ის მიერ YouTube-ზე

[140] ანდრეა დი მარკობერარდინო, „საქართველოში მიიღეს ანტი-ლგბტქ+ კანონი: რუსეთის კანონმდებლობისა და გავლენის ანარეკლი," The Security Distillery, 2024 წლის 25 ოქტომბერი

[141] Civil Georgia, „ქართული ოცნება“ კანონმდებლობიდან „გენდერის“ ამოსაღებად ცვლილებებს აინიცირებს, 25 თებერვალი, 2025 წელი

[142] Ibid 112

[143] Ibid.124